# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტ-თის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 1 თებერვალი. 2023 წ. №12 (9544) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


## გამჭვირვალე ტყუილი და უსინდისობა




③

„ქართული ოცნების“ კომუნიკაციების დეპარტამენტი:

**კორუფციის აღქმის ინდექსით საქართველო, პირველად ამ ინდექსის ისტორიაში, ევროპის საუკეთესო ოცეულშია, თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ცდილობს, ეს მიღწევა ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩინოს**




②

## „იფხიზლე, ოცნებავ!“

„ხალხის ძალა“:

**ქართველმა ხალხმა ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნება არასოდეს არ უნდა დაუშვას!**

## მავნებელი სარეველები!

...მთელი მსოფლიო ძალიან მაღალი დონის ავტორიტეტული წყაროებიდან ინფორმაციას იღებს იმის შესახებ, რომ საქართველო საერთაშორისო ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს და არავითარ დარღვევას ადგილი არა აქვს.

საფინანსო სექტორი სახელმწიფო დეპარტამენტმა შეაფასა, გუშინწინ ავსტრიის კანცლერმა გააკეთა განცხადება. სამწუხაროდ, ჩვენი ოპონენტები საკუთარ ხსნას და პროგრესს ამ ქვეყნის წარუმატებლობაში ხედავენ, როცა ამ ქვეყანას ექნება პრობლემები, მათ შორის რეპუტაციული თვალსაზრისით. ამიტომ ისინი არარსებულ დარღვევებს თხზავენ და იგონებენ მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოს რეპუტაციული ზიანი მიაყენონ.

ეს არის ამ ქვეყნის ინტერესების მტრობა მაშინ, როცა არავის მიზეზი არ აქვს, რომ ქვეყანას სანქციების გვერდით ავლა დააბრალოს. რა თქმა უნდა, ავსტრიის კანცლერის განცხადება იყო სილის გაწნა მათთვის, ვინც ტყუილ ამბებს იგონებს იმისთვის, რომ ხელისუფლების გასალანძღად სახელმწიფო ლაფში ამოსვარონ!..

**მიხეილ სარჯველაძე**



## პალტოVSმაზერატი. გაიმარჯვა „პალტომ“!..





⑤

**კახა კალაძე: დარწმუნებული ვარ, ხაბეიშვილს ძალიან მალე გააგდებენ ამ თანამდებობიდან, როგორც ნიკა მელია გააგდეს**

შოთა ყავლაშვილი

## ის იყო რაინდი!



⑥

ქავლი არასოდეს გაუვა!

## სოლიკო ვირსალაძე – მხატვარი, რომელიც ცეკვას აცმევდა...



⑦

ჟურნალისტის საერთაშორისო თვალსაწიერი



⑧

## ბაიდენი ამერიკას მიგრანტებით გაალატაკებს!

# ირაკლი ღარიბაშვილი მოლდოვის ვიცე-პრემიერს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოლდოვის ვიცე-პრემიერს რეინტეგრაციის საკითხებში, ოლეგ სერებრიანს შეხვდა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები მიმოიხილეს. ხაზი გაესვა სხვადასხვა მიმართულებით ორი ქვეყნის შესაბამისი უწყებების წარმატებულ თანამშრომლობას და გამოითქვა არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მზადყოფნა.

ხაზი გაესვა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მნიშვნელობას.

მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკისადმი საქართველოს მთავრობის ერთგულება. პრემიერ-მინისტრმა და მოლდოვის ვიცე-პრემიერმა დაადასტურეს მტკიცე ურთიერთმხარდაჭერა ორი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში. საუბარი ასევე შეეხო ასოცირებული ტრიოს ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს. ყურადღება გამახვილდა ევროპული საბჭოს რეკომენდაციების შესრულებაზე, უკვე გადადგმულ ნაბიჯებსა და სამოქმედო გეგმაზე.

# ირაკლი კობახიძე: ხშირდება საუბარი, რომ ევროკავშირში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსზე მიღებული გადაწყვეტილება არ იყო მართებული...



ავსტრიის პრემიერ-მინისტრის დადებითი განცხადებები და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი შეფასებები ზრდის მოტივაციას, რომ სწრაფად წავიწიოთ წინ ევროინტეგრაციის მიმართულებით, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„ზოგადად, სულ უფრო მეტად ხშირდება საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსზე მიღებული გადაწყვეტილება არ იყო მართებული. იმედი გვაქვს, რომ ამ წლის დეკემბერში ევროკავშირში მიიღებენ სათანადო გადაწყვეტილებას საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. ყველასთვის ნათელია, რომ ნებისმიერი მიმართულებით, საქართველო არის ბევრად უფრო წინ, ვიდრე სხვა ქვეყნები და აქედან გამომდინარე საქართველო ცალსახად იმსახურებს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. დიდი იმედი გვაქვს, რომ წელს ევროკავშირი მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილებას მიიღებენ დეკემბერში.

მანამდე დარჩენილია 10-11 თვე. იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ საერთო ვითარება შეიცვლება დადებითისკენ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თვალსაზრისით. ჩვენი მხრიდან აბსოლუტურად ყველაფერი გაკეთდება, რომ საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.



# კახა კალაძე: არ გამოვრიცხავ, ევროკავშირმა ისევ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს და არ მოგვანიჭონ კანდიდატის სტატუსი

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების კუთხით ყველაფერი კეთდება.

„შესრულებული იქნება ეს თორმეტივე პუნქტი. ამ 12 პუნქტის ერთ-ერთი მიმართულება ეს არის პოლარიზება. ეს ცხადია, ცალმხრივად ვერ მოხდება, შეუძლებელია. ბევრი გვაქვს ამაზე ნასაუბრევი. თუმცა, სხვა რეკომენდაციები, რაც იყო, ყველაფერი ზედმიწევნით იქნება შესრულებული. რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული, არ გამოვრიცხავ ისევ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღონ და არ მოგვანიჭონ სტატუსი, არც ამას გამოვრიცხავ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე. იმ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, რაც მაშინ მიიღეს თუნდაც როცა უკრაინასა და მოლდოვას მისცეს, არანაირი ახსნა-განმარტება არ ჰქონდა იმას, თუ რატომ არ მისცეს საქართველოს. რეალურად ყველა ასპექტში და ყველა მიმართულებით საქართველო წინ იყო. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ მე არ ვგულშემატკივრობ უკრაინას, ან მოლდოვას, პირიქით, მათ ვულოცავ ამ სტატუსს. უბრალოდ, საქართველო დაჩაგრეს, ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და იმ რეკომენდაციებს რა თქმა უნდა, შევასრულებთ, თუმცა, ყველაფერი მათზეა დამოკიდებული.

პოლარიზების შემცირება ცალმხრივი ვერ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხრიდან არაერთი განცხადება იქნა გაკეთებული – დავჯდეთ, ერთად განვიხილოთ ეს კონკრეტული პუნქტები, რომელიც არის შესასრულებელი, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მათი მხრიდან გვახსოვს რა პასუხები იყო, რა დამოკიდებულება იყო, ამიტომ არ ვიცი. მგონია, რომ პირველ რიგში პოლარიზება უნდა დასრულდეს ჩვენი მეგობრებისგან, ჩვენი უცხოელი მეგობრებისგან იმ აბსურდული განცხადებებს, რასაც ვისმენთ კონკრეტულ პიროვნებებთან მიმართებაში ეს რა თქმა უნდა, აზიანებს ამ ურთიერთობებს და ხელს უწყობს პოლარიზებას“, – განაცხადა კალაძემ.

# ზედიზედ 2 წლის განმავლობაში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დადასტურდა



„2022 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: მშენებლობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები.

კლების ტენდენცია დაფიქსირდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების და ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდების დარგებში“, – აღნიშნულია საქსტატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.




# „იფხიზლე, ოცნებავ!“

## „ხალხის ძალა“: ქართველმა ხალხმა ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნება აღარასოდეს არ უნდა დაუშვას!

„რამდენიმე დღის წინ, მიხეილ სააკაშვილმა გერმანული მედიის წინაშე აღიარა, რომ აგენტია. დადასტურდა, რასაც დიდი ხანია, ვამტკიცებდით – წარსულში საქართველოს პრეზიდენტად გამწესებული პირის სატვირთო კონტეინერში მოთავსება და საქართველოში გამოგზავნა ისე დაიგეგმა, რომ გეგმის შინაარსის შესახებ ის წესიერად ინფორმირებულიც კი არ იყო. ასეთია აგენტის ხვედრი:

პატრონის ნებისმიერ დავალებას ის კითხვის დასმის უფლების გარეშე უნდა დაემორჩილოს. მონობის არჩევის თავისუფლება თანამედროვე ფსევდოლიბერალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი იდეოლოგიური საყრდენია. სწორედ ამ საყრდენზე დგას იმავე ფსევდოლიბერალების მიერ მართული აგენტოკრატიაც, რომელიც თავის თავში აგენტების, ანუ მონების მმართველობას მოიაზრებს. უცხო ქვეყნის აგენტობა იმთავითვე მონობას ნიშნავს, განურჩევლად იმისა, თუ რომელი სახელმწიფოს სამსახურში დგახარ – რუსეთის, ამერიკის თუ სრულიად უწყინარი ახალი ზელანდიის. აგენტად კურთხევისას, ხელს აწერ პირობას, რომ პატრონის ნებისმიერ დავალებას თვალდახუჭული შეასრულებ. შესაბამისად, აგენტისა და მონის მდგომარეობებს შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ არის. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ნებისმიერი აგენტი დაღდასმულია მონის ფსიქოლოგიით, რომლისთვისაც რამდენიმე მთავარი ელემენტია დამახასიათებელი:

მონისთვის ცხოვრებაში არსებობს მხოლოდ ერთი ბატონი. შესაბამისად, მისთვის მოტივაციის ერთადერთი წყარო პატრონის კეთილგანწყობის მოპოვების შანსია. ისეთი მაღალი მატერიები, როგორიც ღმერთი და სამშობლოა, აგენტისთვის ნულოვანი დატვირთვის მატარებელია; მონა აღტაცებულია პატრონით და მისგან კეთილგანწყობის ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო ჟესტს დიდ წყალობად იღებს; აგენტი როგორც სიკეთის, ისე საფრთხის ერთადერთ წყაროდ პატრონს აღიქვამს, რომლის მიმართ შიში ვერც ერთ მომაკვდინებელ სტიქიასთან ახლოსაც ვერ მივა; მონას არასოდეს ტოვებს განცდა, რომ მისი მდგომარეობა და ბედისწერა ცვლილებას არ ექვემდებარება.

აქედან გამომდინარე, მონა პატრონის ნებისმიერ დავალებას იოლად იღებს და ასრულებს, თუნდაც პატრონი მისგან მასზე ათჯერ ძლიერ გლადიატორთან სასიკვდილო ორთაბრძოლაში მონაწილეობას ითხოვდეს. ამ ნიშან-თვისებების გათვალისწინებით, ხელისუფლების სათავეში აგენტურის ყოფნა სახელმწიფოსთვის უდიდესი საფრთხის შემცველია. სამშობლოსა და პატრონს შორის აგენტი უპირატესობას ყოველთვის პატრონს მიანიჭებს და პატრონის შიშით თუ მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ნებისმიერ დავალებას თვალდახუჭული მოაწერს ხელს, თუნდაც ეს დავალება საკუთარი სამშობლოს მსხვერპლშეწირვას გულისხმობდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, ჩვენს რეალობაში, აგენტს აქვს ერთი სერიოზული ცდუნება – აგენტურამ იცის, რომ პატრონი მას ეხმარება, ძალაუფლება ხელში აიღოს, ქვეყნის მოსახლეობა დაიმონოს და მის ძარცვას მიჰყოს ხელი, რაც საქართველოს მოსახლეობამ თავის თავზე 2004-12 წლებში ერთხელ უკვე მძიმედ იწვნია. რეპრესიები, ბიზნესის რეკეტი, კორუფცია, რაც სააკაშვილის ხელისუფლების ხელწერა იყო, სინამდვილეში, სწორედ პატრონის მიერ იყო ნაკარნახევი.

ძალაუფლების დაბრუნების, ხალხის ძარცვისა და ნაძარცვის განაწილების პერსპექტივა არის ის მთავარი ცდუნება, რომელიც აგენტებს საკუთარი პატრონის უსიტყვო მორჩილებისკენ უბიძგებს. საქართველოს ერთხელ უკვე მართავდა აგენტურა და მაშინ ეს ჩვენს ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვად დაუჯდა. ქართველმა ხალხმა ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნება აღარასოდეს უნდა დაუშვას, რათა საქართველოში მშვიდობას და განვითარებას ფუნდამენტური საფრთხე აღარასოდეს შეექმნას“!..



# ო, ანაკლია, ანაკლია!..

## ინფრასტრუქტურის მინისტრის უპერსპექტივო განცხადება

**ინფრასტრუქტურის მინისტრის ირაკლი ქარსელაძის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ანაკლიის პორტამდე მისასვლელი გზისა და რკინიგზის პროექტების განხორციელებას, ინვესტორის გამოვლენამდე არ აპირებს. ამის შესახებ მან 30 იანვრის მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ BM.GE-ს კითხვის საპასუხოდ განაცხადა.**

ირაკლი ქარსელაძემ ანაკლიის პორტის პროექტის ინვესტორის გამოსავლენი ტენდერის გამოცხადების ვადები ვერ დააკონკრეტა და აღნიშნა, რომ ამაზე დაზუსტებული ინფორმაცია ეკონომიკის მინისტრ ლევან დავითაშვილს ექნებოდა, თუმცა დასძინა, რომ სახელმწიფო თავისი ვალდებულებების შესრულებისთვის მზადაა.

კითხვაზე – დაიწყებს თუ არა ინფრასტრუქტურის სამინისტრო ანაკლიის პორტამდე მისასვლელი გზისა და რკინიგზის მშენებლობას, უწყების ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ამ პროექტების განხორციელება ინვესტორის მიერ წარდგენილ პროექტის მასტერგეგმაზე იქნება დამოკიდებული.

**„როცა ანაკლიის პორტამდე მისასვლელ გზასა და რკინიგზაზე ვსაუბრობთ, შესაბამისი პროექტი დამუშავებული გვაქვს და რა წუთშიც გამოვლინდება გამარჯვებული და ხელშეკრულების სახით შესაბამისი ვალდებულებები გაფორმდება, ჩვენ მზად ვართ განვახორციელოთ ის.**

**აღნიშნული პროექტი წინაპირობების გათვალისწინებით იყო მომზადებული. შეიძლება მასში გარკვეული კორექტირება შევიდეს, არა იმდენად მარშრუტთან, არამედ ამ მარშრუტის დაბოლოებასთან დაკავშირებით.**

**მშენებლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ მასტერგეგმაზე, რომლითაც სამშენებლო ნაწილი ხორციელდება და ის ინფრასტრუქტურა, სადაც ეს გზა უნდა მივიდეს. ნებისმიერ შემთხვევაში უფრო გამართლებულია არსებობდეს გამარჯვებული, რომელსაც ექნება ნათელი ხედვა, თუ როგორ ეწყობა ინფრასტრუქტურულად აღნიშნული პორტი და შემდეგ სახელმწიფო თავის ვალდებულების ნაწილში გზის და რკინიგზის მშენებლობას დაიწყებს. მთავარია, ეს პროექტი გვაქვს და ეს იქნება იმ მოქმედებების ნაწილი, რომელსაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტი მოიცავს“...**

## რედაქტორისგან:

**ბატონო მინისტრო ირაკლი ქარსელაძევ! – თუ ტენდერი გამოცხადებული არ არის, თუ ინვესტორის მოძიებამდე ღრმაწყლოვან ანაკლიის ნავსადგურამდე მისასვლელი გზისა და რკინიგზის მოწესრიგებას არ აპირებთ, მაშინ სახელმწიფო რატომ კისრულობს ამ საუკუნის პროექტის საკონტროლო პაკეტი, ანუ 51 პროცენტი თვითონ „იყიდოს“?! იყიდოს და დააფინანსოს?! საკონტროლო პაკეტი ხომ იმას ნიშნავს, რომ ნავსადგურის აშენების მთავარი ინვესტორი თანამედროვე ქართული სახელმწიფოს აღმავალი გზით მავალი (ორნიშნა ზრდის ტემპით!) ეკონომიკაა...**

**რა ხდება, ფინანსთა სამინისტრო ფულს არ გაძლევთ?! სახელმწიფომ წლეულს, 2023 წელს, ამ 51 პროცენტის საერთო თანხიდან სულაც 200-300 მილიონი ლარი რომ მოიძიოს და რკინიგზის მშენებლობა აქტიურად დაიწყოთ (რა თქმა უნდა, ორზოლიანი რკინიგზისა), უცხოელი ინვესტორი ხომ უფრო მალე დაინტერესდება?! თანაც, „ძველი“ პროექტი გაქვთ, მცირეოდენი შესწორება დასჭირდებაო, გაასწორეთ და**



**დაიწყეთ, ვიდრე მთლად დაცლილა საქართველო, განსაკუთრებით სამეგრელო – ახალგაზრდებისგან!**

**აქვე შეგახსენებთ, რომ ანაკლიის ახალი გზისა და რკინიგზის მშენებლობის დაწყებამდე, ბევრად უფრო სასწრაფო და აუცილებელია უკვე განახლებული „მცირე წყალწყვის“ ფოთის ნავსადგურის დატვირთვა და 1872 წელს აშენებული ერთი ლიანდაგიანი... ლა სარკინიგზო ხაზისთვის ხელის წაშველება – იქაც თანამედროვე ორზოლიანი რკინიგზის აშენება! დიდად სამწუხაროდ, ქვეყანა ფოთის შესაძლებლობებს ვერ იყენებს ჯეროვნად და ანაკლიაში „შემოსული“ უზარმაზარი ხომალდების დროული მიღება-დაცლის მკაცრად აღრიცხული ვადების დამცველი ვართ?!. და რაც მთავარია, სწავლობს ვინმე ჩვენს უფასო პროფესიულ სასწავლებლებში საზღვაო ინჟინერტექნიკოსების და რიგითი ზეინკალშემდუღებლების სპეციალობაზე?!. მშენებლობის საწყის ეტაპზე სულ მცირე 1000 კაცი მაინც ხომ უნდა დავასაქმოთ ამ ყბადაღებული ნავსადგურის მშენებლობაზე?!**

**მრავალი გლობალური ეროვნული პრობლემა წარმომიჩინა, ბატონო ინფრასტრუქტურის მინისტრო, თქვენმა ცარიელმა, მოჩვენებითმა განცხადებამ.**

**გემუდარებით, ნუ გვატყუებთ, პირდაპირ გვითხარით, რა აკლია ანაკლიას მშენებლობის დასაწყებად – კადრები, ფული, ინვესტორი თუ პუტინის რუსეთის „ნებართვა“?..**

**სპარტაკ ქოზულია**

# ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის სიმტკიცის შესაფასებლად კვლევა იგეგმება, სამუშაოები აპრილამდე უნდა მოესწროს!

**ენგურჰესის რეაბილიტაციის ფარგლებში, ენგურის თაღოვანი კაშხლის სიმტკიცის შეფასებისათვის ბეტონისა და კლდის ნიმუშების აღებისა და მათი ლაბორატორიული შემოწმების მიზნით კაშხლის ტანის ბეტონში და კლდოვან საძირკველში 13 ვერტიკალური სვეტოვანი და 3 ჰორიზონტალური ბურღილის შესრულება ხდება სავალდებულო.**

როგორც ირკვევა აღნიშნული სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს არაუმეტეს აპრილამდე...

სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის განხორციელების უფლებისთვის ენგურჰესის დირექტორმა სახელმწიფო შესყიდვების დირექტორს უკვე მიმართა. პროექტის ბიუჯეტი 1.81 673 აშშ დოლარს შეადგენს.

**„ლაბორატორიული გამოკვლევები მოიცავს კუმშვასა და გაჭიმვაზე სიმტკიცის, სიმკვრივის, იანგის მოდულისა და განივი ტალღის სიჩქარეების (Vs) განაწილების შეფასებას. მოგახსენებთ, რომ წყალსაცავის სიგრძე 25 კმ-ია. და მისი სიღრმე 270 მეტრს შეადგენს. ხოლო წყალსაცავში დაგროვილი წყლის მოცულობა მაქსიმალურ ნიშნულზე შეადგენს 1,1 მილიარდ კუბურ მეტრს.**

**შესაბამისად კაშხლის მდგრადობის შეფასება უმნიშვნელოვანესი საკითხია. სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს არაუმეტეს აპრილამდე, ვინაიდან ამ პერიოდში წყლის დონე წყალსაცავში ყველაზე დაბალია და მინიმალურია ფილტრაციული წყლების რაოდენობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სამუშაოების შესასრულებლად. დიდი ფილტრაციული ხარჯების შემთხვევაში ბურღვების შესრულება შეუძლებელია. ზემოხსენებული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა კომპანიამ შეიტყო მიმდინარე წლის 17 იანვარს, როცა კომპანია ARTERIA-მ, რომელიც ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) დაკვეთით უკვე ახორციელებს თაღოვანი კაშხლის სტრუქტურული შეფასების ანალიზს, შეგვატყობინა, რომ აღნიშნული ბურღვითი სამუშაოები უნდა შესრულდეს მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისამდე, წყალსაცავში მინიმალური დონეების პირობებში.**

**ენგურჰესის წყალსაცავის მასშტაბიდან გამომდინარე, აუცილებელია ყველა რისკი გამოირიცხოს საამისოდ რომ ენგურჰესის თაღოვან კაშხალს არ დაემუქროს რაიმე რეალური საფრთხე, კაშხლიდან შავ ზღვამდე (დაახლოებით 60 კმ) ტერიტორიაზე არსებული მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად. აღნიშნული, წარმოადგენს მაღალი კაშხლების უსაფრთხოების საერთაშორისო ნორმების (ICOLD) მკაცრ მოთხოვნას. ამასთან, ნებისმიერი ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს თაღოვან კაშხალს, იქნება დაუყოვნებლივ გამოსასწორებელი, რომლის გამოსასწორებლად შესაძლოა კომპანიას კოლოსალური თანხები დაუჯდეს. (მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად საჭირო თანხების მოცულობა, დამოკიდებულია მიყენებული ზიანის მასშტაბზე)“,** – აღნიშნულია ლევან მებონიას მიერ ლევან რაზმაძისათვის მიწერილ წერილში.




# გამჭვირვალე ტყუილი და უსინდისობა

## „ქართული ოცნების“ კომუნიკაციების დეპარტამენტი:

## კორუფციის აღქმის ინდექსით საქართველო, პირველად ამ ინდექსის ისტორიაში, ევროპის საუკეთესო ოცეულშია, თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ცდილობს, ეს მიღწევა ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩინოს

– ამის შესახებ „ქართული ოცნების“ კომუნიკაციების დეპარტამენტის FACEBOOK-გვერდზე „სინამდვილეში“ გამოქვეყნებულ პოსტში წერია.

მათი განმარტებით, საქართველომ ახალი ინდექსის მიხედვით 180 ქვეყანას შორის 45-ე ადგილიდან 41-ე ადგილზე გადაინაცვლა.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ აქვეყნებს სტატიას კორუფციის აღქმის ინდექსის 2022 წლის ანგარიშთან დაკავშირებით. ახალი ინდექსის მიხედვით წინა წელთან შედარებით საქართველოს შეფასება გაუმჯობესდა და მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 45-ე ადგილიდან 41-ე ადგილზე გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ცდილობს ეს მიღწევა ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩინოს, ისეთი ფრაზებით, როგორიცაა „რამდენიმე ევროპულ ქვეყანას ვუსწრებთ“, „მნიშვნელოვნად წინ ვერ წავიწიეთ“ და ა.შ.**

**სინამდვილეში, საქართველო პირველად, ამ ინდექსის ისტორიაში, ევროპის საუკეთესო ოცეულშია.**

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღნიშნული სტატია მანიპულაციურია და მიზნად ქვეყნის პროგრესის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენას ისახავს. ფაქტი კი ის არის, რომ საქართველო ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნიდან 12 წევრს უსწრებს ან თანაბარი შედეგი აქვს. რაც შეეხება ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს, საქართველო ყველა კანდიდატ ქვეყანას დიდი უპირატესობით უსწრებს.**

### ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომელსაც საქართველო უსწრებს ან თანაბარი ადგილი აქვს:

1. ჩეხეთი – 41;
2. იტალია – 41;
3. სლოვენია – 41;
4. პოლონეთი – 45;
5. სლოვაკეთი – 49;
6. კვიპროსი – 51;
8. მალტა – 54;
9. ხორვატია – 57;
10. რუმინეთი – 63;
11. ბულგარეთი – 72;
12. უნგრეთი – 77.

### ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები:

საქართველო – 41-ე ადგილი.
1. მონტენეგრო – 65;
2. ჩრდ. მაკედონია – 85;
3. მოლდოვა – 91;
4. ალბანეთი – 101;
5. სერბეთი – 101;
6. თურქეთი – 101;
7. ბოსნია და ჰერცოგოვინა – 110;
8. უკრაინა – 116“...




# ტერიტორიული რეზერვის პროგრამა გრძელდება

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ტერიტორიული რეზერვის პროგრამას განაგრძობს. ტერიტორიული, ანაზღაურებადი რეზერვი სამხედრო ვალდებულების მოხდის ნებაყოფლობით ფორმას წარმოადგენს და ქვეყნის თავდაცვაში მოქალაქეების ჩართულობას უზრუნველყოფს.**

უწყების პრესსამსახურის ცნობით, **რეზერვში მიიღებიან საქართველოს მოქალაქეობის მქონე 18-დან 51 წლამდე პირები, მათ შორის სტუდენტები 18-დან 22 წლის ჩათვლით. მიღებისას რეზერვისტს 4-წლიანი კონტაქტი უფორმდება.**

**მათი ანაზღაურება ყოველთვიურად წოდებრივი სარგოს 20% შეადგენს, ხოლო ქვედანაყოფში ყოფნისას ხელფასს სრულად იღებენ. რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტის მინიმალური წლიური ანაზღაურება 4218 ლარია.**

**ტერიტორიულ რეზერვში გაწვევა/ჩარიცხვა ხდება ტერიტორიული (რეგისტრაციის ადგილის) პრინციპით. რეზერვისტების საბრძოლო მომზადება წლის განმავლობაში 45 დღემდე პერიოდს მოიცავს, რომელიც 12 თვეზე თანაბრად ნაწილდება. შეკრებაზე გამოცხადების თარიღები წინასწარ არის ცნობილი. მომზადების კურსის მთავარი მიზანია, საველე შეკრებებზე რეალური საბრძოლო უნარების შესწავლა. ტერიტორიული რეზერვის გავლის პერიოდში მოქალაქეები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური და სამართლებრივი დაცვით, ასევე, ინდივიდუალური სამედიცინო დაზღვევით.**

**რეზერვში მიღება რეგისტრაციისა და სამხედრო სამედიცინო შემოწმების გავლის საფუძველზე ხორციელდება. საბუთების მიღება მიმდინარეობს სამუშაო დღეების განმავლობაში, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, პარასკევს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართებზე:**

**თბილისი, ეროვნული გვარდია, გორგასლის ქ. №89; ტელ: 595 05 06 85; 595 06 03 44:**

**ქუთაისი, ფ. ვარლამიშვილის ქ. №52; ტელ: 591 19 60 70:**

**თელავი – ეროვნული გვარდიის მე-20 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადა, თამარის ქ. №36; ტელ: 591 17 55 03;**

**გარდაბნის რ-ნი სოფ. მთისძირი – წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერი ცენტრი „კრწანისი" ტელ: (995) 577 19 82 83:**

**სენაკი – დასავლეთ სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადა, ცერცვაძის ქ. №1 ტელ: 595 80 49 42:**

**ბათუმი – ეროვნული გვარდიის მე - 10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადა, ადლიის ქ. №76, ტელ: 591 17 55 14; 577 19 73 05:**

**ახალციხე, კოსტავას ქ. №1 ტელ: 591 55 05 68; 577 19 23 90.**

**შესაძლებელია ონლაინ რეგისტრაციაც: onlinebct.gov.ge**

# თავდაცვის ძალებში საკონტრაქტო სამსახურში მიღება გრძელდება!

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში იწვევს 18-დან 35 წლის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეებს.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საკონტრაქტო სამსახურის გავლის მსურველმა მოქალაქემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია, სამედიცინო შემოწმება და საწყისი საბრძოლო მომზადების (BTC) ორთვიანი კურსი.

**„BTC კურსის განმავლობაში ანაზღაურება თვეში 500 ლარს შეადგენს. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე ჩარიცხვის დღიდან მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან კვებით, სამხედრო ფორმით (საველე აღჭურვილობით), განთავსებით, მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებით, სოციალური და სამართლებრივი გარანტიებით.**

**სამსახურში გადანაწილების დროს, მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ტერიტორიული პრინციპი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 4-წლიან საკონტრაქტო სამსახურში ასევე იწვევს საქართველოს მოქალაქეებს 18-დან 45 წლის ჩათვლით, სხვადასხვა სპეციალობაზე დასანიშნად – მძღოლებს (მათ შორის, სპეც. ტექნიკის), ლოჯისტიკის სპეციალისტებს, კავშირგაბმულობის სპეციალისტებს, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, საინჟინრო და ქიმიის მიმართულების სპეციალისტებს, ავიაციის და საჰაერო თავდაცვის სფეროს წარმომადგენლებს.**

**აღნიშნულ სპეციალობებზე დასანიშნი პირები გაივლიან საწყისი საბრძოლო მომზადების მოკლე კურსს და სამხედრო კარიერას ქვედანაყოფებში სპეციალობების მიხედვით გააგრძელებენ. რიგითის საწყისი ხელფასი შეადგენს 1530 ლარს. ანაზღაურება იზრდება წოდების, თანამდებობისა და სამხედრო სტაჟის გათვალისწინებით. ერთჯერადი დანამატი პირველი კონტრაქტის დასრულების შემდეგ 5 000 ლარი (ხელზე ასაღები), ხოლო მომდევნო კონტრაქტების დასრულების შემდეგ (ხელზე ასაღები): 2-წლიანი კონტრაქტისას 3 000 ლარი, 4-წლიანი კონტრაქტისას 8 000 ლარი. საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე შეღავათებითა და პრივილეგიებით ისარგებლებს, როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნეს სექტორში. თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებისთვის (მეუღლე, შვილი) სთავაზობს სწავლის თანადაფინანსებას საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში.**

**ასევე, აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისას, მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის მინისტრის სტიპენდიას სემესტრულად 750 ლარის ოდენობით (გადასახადებისა და საპენსიო შენატანის გარეშე). აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოსამსახურეს, როგორც სერჟანტთა, ასევე ოფიცერთა შემადგენლობაში პროფესიული და კარიერული განვითარების შესაძლებლობა ექნება. ასევე, უწყება მათ სთავაზობს უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული და რუსული) შესწავლას და საკარიერო კურსებში მონაწილეობას საზღვარგარეთ (ევროპაში, კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში).**

**საკონტრაქტო სამსახურის დაწყების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეებს შესაძლებლობა ექნებათ, დაეუფლონ დამატებით პროფესიას – ელექტრიკოსი, ელექტრორკალური შემდუღებელი, მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის სპეციალისტი, ავტომობილის შემკეთებელი (ელექტროტექნიკოსი), დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი, როგორც თავდაცვის ძალებში არსებულ სასწავლებლებში, ასევე თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებით სამოქალაქო კოლეჯებსა და პროფესიული მომზადების ცენტრებში.**

**რეგისტრაცია წარმოებს ონლაინ – mod.gov.ge/onlibebct.mod.gov.ge ასევე იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში. 032 2 79 02 00; 032 2 75 26 44; 595 05 06 73; 595 06 03 44".**

# საქართველო ნამდვილად ღიაა ბიზნესისთვის და ფოკუსირებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე



**საქართველოში ვიზიტისას დავრწმუნდი, რომ ეს ქვეყანა ნამდვილად ღიაა ბიზნესისთვის და ფოკუსირებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე,** – ამის შესახებ საერთაშორისო საინვესტიციო კონსულტანტმა პიტერ რაიანმა განაცხადა.

კანადელი და ბრიტანელი საინვესტიციო კონსულტანტები, ე.წ. ლოკაციის მენეჯერები საქართველოს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" ორგანიზებით სტუმრობენ.

ვიზიტის მიზანია საქართველოს ბიზნესპროცესების აუთსორსინგის სექტორის გაცნობა და ამ მიმართულებით საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესწავლა, რათა შემდგომში ინფორმაცია მიაწოდონ პოტენციურ ინვესტორებს. ლოკაციის მენეჯერებმა შეხვედრები გამართეს სხვადასხვა კომპანიებთან, მათ შორის უძრავი ქონების და ტექნოლოგიურ კომპანიებთან.

**„რა თქმა უნდა, კანადაში დაბრუნებისას ჩემს კლიენტებს საქართველოს გავაცნობ როგორც ქვეყანას, რომელიც ნამდვილად ღიაა ბიზნესისთვის და ფოკუსირებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად მარტივია აქ ბიზნესის გადმოტანა და ოპერირება. ერთ-ერთი მიმართულება, რაზეც მე ვმუშაობ, კლიენტთა მომსახურებაა და მინდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარება თვალშისაცემია და პირადად დავრწმუნდი, რომ აქ საკმაოდ მაღალი მომსახურების დონეა.**

**ეს კეთილმოსურნეობა ნამდვილად მნიშვნელოვანია იმ ინვესტორებისთვის, ვინც საკუთარი ბიზნესის გადმოტანას მოინდომებს ამ ქვეყანაში. ვიზიტის ფარგლებში ჩვენ ასევე დავრწმუნდით, რომ საქართველო არის დინამიკურად განვითარებადი, მომხმარებელსა და საერთაშორისო სიახლეებზე ორიენტირებული ქვეყანა. აქ სწორედ ის გარემოა, რომელიც უცხოელ ინვესტორებს ქვეყანაში შემოსვლას და ინვესტირებას მოანდომებს",** – აღნიშნა საერთაშორისო საინვესტიციო კონსულტანტმა პიტერ რაიანმა.

# გრანტები დევნილებისა და ეკო-მიგრანტებისთვის

**დევნილები და ეკომიგრანტები, რომლებიც მეწარმეობით არიან დაკავებული, 7500 ლარის ფარგლებში დაფინანსდნენ. საქმიანობის გაფართოებისა თუ წამოწყებისთვის საჭირო ტექნიკა, დანადგარები და ინვენტარი იძულებით გადაადგილებულმა პირებმა თავად შეარჩიეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას დევნილთა სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს პროგრამის მიზანს იძულებით გადაადგილებული პირების სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა წარმოადგენს.

პროგრამა სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის – „მოწყვლადი დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (EPIC)" ერთობლივი დაფინანსებით ხორციელდება.





# პალტოVSმაზერატი. გაიმარჯვა „პალტომ“!..





**– მევიგეთ, ფეოლა!**

**– უშანგის სქელ ჯიბეს ანაცვალე ჩემი თავი?**

**– ფული ბაბა, ბევრი ფული.**

**– რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.**

**– მე ის თამრო აღარა ვარ!**

**– ეს ბზარი აქ იყო?**

**– ასე ვერ გავფრინდებით!**

გენიალურია ქართული კინო. უამრავი ფრაზა შეესაბამება ნაცების თავმჯდომარის არჩევნებს.

ახლა კი ოდნავ სერიოზულად:

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთულია ოდნავ სერიოზულად შევხედოთ ნაცებში ჩატარებულ არჩევნებს, იმ „პერსპექტივებს“ რაც ერთ დროს ძალიან ძლიერ პოლიტიკურ ძალას გააჩნია, მაინც ვცადოთ დავინახოთ ის პროცესები, რაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში განვითარდება.

ის, რომ ქართული პოლიტიკური ველი ამ ე.წ. ოპოზიციური ძალების წყალობით გვალვისგან გადამწვარ სტეპს დაემსგავსა, არახალია.

მომრავლებული კაცნახევრიანი პარტიები, რომლებსაც არანაირი ლეგიტიმაცია არ გააჩნიათ, მყარად სხედან ქართული პოლიტიკის შესასვლელ კართან, რომელიც ნატოსი არ იყოს ღიაა, მაგრამ სხვა სუბიექტის, მით უმეტეს ჯანსაღი სუბიექტის შესვლას შეუძლებელს ხდიან (თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ პოტენციური ძალა უარს იტყვის იმ სიბინძურეში ჩაბმაზე, რაც დღეს არის).

ამ ვითარებამ საზოგადოებაში პოლიტიკური პროცესების მიმართ სრული ნიჰილიზმი და ხშირ შემთხვევაში ანტიპათიური დამოკიდებულება გამოიწვია, რისი უმთავრესი მიზეზი ოპო-პოლიტიკანების მხრიდან სრულიად უსაგნო ლაყაფი, უაზრო შეძახილები, ტელეკამერების წინ მარაზმში გადასული კეკლუცობა, მატერიალური სიხარბე და რეალობისგან სრული მოწყვეტა გახდა.

გუშინდელი „არჩევნები“, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ქართული მედიის საკვებად იყო ქცეული და რომელიც ხალხის ინტერესებისგან ცა და დედამიწასავით იყო დაცილებული, დამთავრდა. გაირკვა, თუ ვინ იქნება ნაცების ახალი თავმჯდომარე (რადგანაც დღევანდელი ე.წ. კრიტიკული მედიის ფანტაზია და უნარი მეტს ვერ სცდება, დარწმუნებული ვარ, რომ ეს თემა კიდევ კარგა ხანს იტრიალებს ეთერში).

**„არჩევნები“ დამთავრდა.**

**„არჩევნებმა“, რომელიც მაქსიმალურად ბინძური საარჩევნო კამპანიით მიმდინარეობდა, ხელის გულზე დადო ამ „პოლიტიკური ძალის“ შინაგანი ბუნება, მაგრამ ახლა ამაზე არ ვილაპარაკებ. ეს სხვა თემაა და „პერსპექტივებს“ დავუბრუნდები.**

უბრალოდ, ნაცების შინაგან ბუნებაზე ძალიან საინტერესო სტატუსი გამოაქვეყნა თამარ ჩერგოლეიშვილმა, სადაც ის თავისდა უნებურად პირდაპირ ამხელს იმათ ერთმანეთთან დამოკიდებულებას და ნდობის ხარისხს. იმ ნდობის, რაც არა მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობებში, ნებისმიერ საქმეში აუცილებელია.

**„გეტყვით, რომ მელიას ჩანაწერი 2016 წლისაა და ჩვენი მეგობრული ჩეთიდანაა გავრცელებული. ამ ჩეთში ვიყავით მე, გიგა, უგულავა, კეზერაშვილი, გივი თარგამაძე, გოკა გაბაშვილი, ლევან თარხნიშვილი, მელია და გვარამია (რომელიც მაგ ვოისების ჩაყრის მომენტში უკვე გასული იყო, უკვე კონფლიქტი გვქონდა მიშას დოზებზე ეთერში – ვერ ვაგებინებდით, რომ დამღუპველია).**

**მელია ბოლო მომენტამდე მესიანიზმის მოწინააღმდეგეთა, ანუ ჩვენს ბანაკში იყო და ვოისებად ჩაგვიყარა ჩეთში მიშასთან ლაპარაკის შინაარსი (რაც მოისმინეთ). რომ გადახტა და მიშას მოღალატეები ხართო, კივილი დაიწყო – ვიცინოდით მერე ამ ვოისებზე.**

**მაშინაც იყო აზრი, რომ გამოქვეყნებულიყო, ოღონდ არა ფარულად, არამედ ღიად – როდის იყავი მართალი? როცა მიშას აგინებდი, თუ როცა ჩვენ მოღალატეებს გვიძახი? – ამ კითხვით.**

**მაგრამ გიგა კატეგორიულ უარზე წავიდა და არ დაუშვა – პირადის გამოქვეყნებას სადაც მე ვარ, არ ვიკადრებთო.**

**ფარულად გამოქვეყნებას ვერც გაუბედავდნენ (უნდოდათ)“.**

აქ ყურადღებამისაქცევი არც ის ფრაზებია, რითაც მელია სააკაშვილს მოიხსენიებს (ხალხი უფრო შიშხათიანად ამკობს) და არც ჩერგოლეიშვილის მიერ ბოკერიას „გაპრავების“ და მისი ვაჟკაცად გამოყვანის მცდელობაა. მთავარი ის არის, რომ „მეგობრულ ჩატში“, სადაც მეგობრები ერთმანეთს თავიანთ აზრებს, სხვადასხვა ინფორმაციებს, სიხარულს და წყენას უზიარებენ, ერთმანეთს იწერენ!

დიახ, ერთმანეთს იწერენ, ინახავენ და როცა დასჭირდებათ განდეგილის საწინააღმდეგოდ იყენებენ.

აი ეს არის ნაცების ბუნება და ცხოვრების არსი.

წარმოიდგინეთ, ერთმანეთს რას უშვებიან და ხალხს რას უზამენ?

მაგრამ დავანებოთ თავი მათი ფსიქოლოგიის განხილვას და ისევ „არჩევნებს“ დავუბრუნდეთ.

დიახ არ იყო ბრძოლა და ის დაპირისპირება რასაც ვხედავდით, ნამდვილად არ იყო ოქტავიანესა და ანტონიუსს შორის კეისრის ტახტისთვის ბრძოლა. არ იყო არც იაკობინელებს შორის მომხდარი დაპირისპირება, რომელსაც უამრავი ნათელი აზროვნების პოლიტიკოსი შეეწირა (მასშტაბები და პიროვნებები ძალიან პატარები არიან).

თუ შედარება გვინდა, შეიძლება ეს პროცესი ანდროპოვის შემდეგ ჩერნენკოს გენერალურ მდივნად არჩევას შევადაროთ, რადგანაც ჩერნენკო საჭირო იყო როგორც გარდამავალი საფეხური კომუნისტური პარტიის განახლებისთვის ბრძოლაში და შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ როგორც მაშინდელი საბჭოთა კავშირი და ბოლშევიკური იდეები იყო სრულად გაკოტრებული, ნაციონალური მოძრაობაც ასევე სრულად გაკოტრებულია. რეალურად კი ნაცთავმჯდომარის ცვლილება უფრო ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ სათავეში მოსვლას წააგავს.

დიახ, სწორედაც რომ ხრუშჩოვის პერიოდს, რადგანაც ჯერ ერთი – ხაზეიშვილი როგორც კომიკური ფიგურა ძალიან ჰგავს ნიკიტას და მეორეც – ბელადი, რომელიც იყო ამ პოლიტიკური ძალის არსებობის მთავარი იდეა, უმოქმედოა და ხაზეიშვილი ზუსტად ისე სჭირდებათ პარტიული ფინანსების განმკარგავ ძალებს, როგორც ხრუშჩოვი სჭირდებოდათ ჟუკოვს და მიქოიანს, რომლებიც კულუარებიდან მართავდნენ პარტიას.

**ნაციონალური მოძრაობის დღევანდელი მდგომარეობა საკმაოდ სავალალოა. თუ ხრუშჩოვის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ დაახლოებით 40 წელიწადი გაძლო, ისინი იმ „ერთობას“, რასაც „ლიდერები“ ამ არჩევნების შემდეგ ჰპირდებიან თავიანთ მხარდამჭერებს (აბა სხვებს ეს ფაქტობრივად ფეხებზე ჰკიდიათ) 40 დღეც ვერ შეინარჩუნებენ. ვერ შეინარჩუნებენ თუნდაც იმის გამო, რომ აღარ არის ის ქარიზმა, რაც პოლიტიკურ ძალას სასიცოცხლოდ სჭირდება და ის დამოკიდებულება (რომ ფულმა გადაწონა მომავლისკენ სწრაფვა (თავად პარტიის წევრები ამბობენ) „ერთიანობის“ დარღვევის წინა პირობაა.**

რაც შეეხება „ქართულ პოლიტიკურ ველს“, აქ უკვე აქტიურად ჩანან ის პოლიტიკური სვავები, რომლებიც ჩასაფრებულნი ელოდებიან ნაცმოძრაობის დაშლას, რათა მათს ამომრჩეველზე ნადირობა გააგრძელონ („გააგრძელონ“, რადგანაც ეს პროცესი უკვე კარგა ხანია, დაწყებულია).

სავარაუდოდ ეს „ნადირობა“ დიდ შედეგს ვერ მოიტანს, რადგანაც პარტიულ ამომრჩეველთა რაოდენობა მაქსიმუმ 50000 კაცი იყო. თუ ამას დავუმატებთ სამჯერ მეტ „უპარტიო ბოლშევიკს“, არა მგონია, რომ დათვის მონადირების მსურველთ, გამხდარ კურდღელზე მეტი შერჩეთ ხელში. როგორი მჭახე სახელწოდებითაც („ახალი ეროვნული მოზრაობა“, „ევროპული გზა“ დ. ა. შ.) არ უნდა შეიფუთონ მონადირეები, ქართულ პოლიტიკურ ველზე სრულიად ახალი ძალები დაიწყებენ მოქმედებას.

**სრულიად ახალი ძალები, რომლებიც არა უაზრო ლოზუნგებით, მუქარით და განადგურების სურვილით შემოვლენ, არამედ სიმართლის თქმით და ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლის კლასიკური წესებით დამკვიდრდებიან.**



**გია გაბრიჭიძე**

## კახა კალაძე: დარწმუნებული ვარ, ხაზეიშვილს ძალიან მალე გააგდებენ ამ თანამდებობიდან, როგორც ნიკა მელია გააგდეს

**„ლევან ხაზეიშვილი ჩემი ფავორიტი იყოს, ამასთან დაკავშირებით არაერთხელ მისაუბრია. უბრალოდ შეუძლებელი იყო ლევანს არ მოეგო, ჯერ ისეთი მომზადებული იყო ფიზიკურად, მთელი ამ ხნის განმავლობაში ემზადებოდა ამ არჩევნებისთვის და ფიზიკურადაც დაეტყო. დანარჩენი ვნახოთ, დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები „ნაციონალურ მოძრაობაში“. ზოგადად ერთი რამ შემიძლია გითხრათ, „ნაციონალური მოძრაობა“ არის პარტია, რომელიც აჩვენებდა საზოგადოებას იმას, თუ როგორი არ უნდა იყოს ხელისუფალი. გვახსოვს, როგორ ექცეოდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, რა დამოკიდებულება იყო და დღეს, როდესაც ოპოზიციაში არიან ისინი, საზოგადოებას აჩვენებენ, როგორი არ უნდა იყოს ოპოზიცია.**

**ხაზეიშვილი ვინ არის? არავინ არ არის საერთოდ. ხაზეიშვილი არის კეზერაშვილ-მერაბიშვილის მიერ დროებით დასმული ხელქვეითი, დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე მას მოაშორებენ და გააგდებენ ამ თანამდებობიდან, როგორც ნიკა მელია გააგდეს. თქვენ ნახეთ, როგორი ბინძური მეთოდებით ებრძოდნენ ისინი ერთმანეთს. ეს არის მათი ხელწერა. შეუძლებელია, შეიცვალონ ეს ადამიანები და ამ პარტიის სულისკვეთება თავისი ფარული ჩანაწერებით, ერთმანეთის მიმართ თავისი შეურაცხმყოფელი განცხადებებით. ეს მათი საქმეა, არ მინდა, ჩავერიო მათ პარტიულ საქმიანობაში, თუმცა ეს ცხადია და გამოკვეთილია, რომ დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გახლავთ კეზერაშვილ-მერაბიშვილი“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

## ირაკლი კობახიძე: ხაზეიშვილის არჩევით რადიკალური ოპოზიციური სპექტრი უფრო მეტად კომიკური გახდება...

**„ეს აშკარად გამოჩნდა ე.წ არჩევნებში. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება მოვლენები. თავისთავად, ხაზეიშვილის არჩევა ნიშნავს, რადიკალური ოპოზიციის დასუსტებას და ამ თვალსაზრისით, ძალიან კარგი შედეგით დასრულდა „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჩატარებული არჩევნები. ეს გამოიწვევს „ნაციონალური მოძრაობის“ შემდგომ დასუსტებას, მთლიანი რადიკალური ოპოზიციის შემდგომ დასუსტებას , რაც არის ძალიან კარგი ქართული დემოკრატიის განვითარებისთვის“,** – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ. მისი თქმით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ არჩევნები ისეთი პოლარიზაციის ფონზე ჩატარდა, რომ გახლეჩვა გარდაუვალია.

## იაგო ხვიჩია: არ მაქვს მოლოდინი, რომ ლევან ხაზეიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ აღორძინებას დაიწყებს

**„ლევან ხაზეიშვილი სხდომათა დარბაზში ჩემ უკან ზის, ერთმანეთთან ადამიანურად ნორმალური ურთიერთობა გვაქვს და მას წარმატებებს ვუსურვებ. მოლოდინი იმის, რომ „ნაცმოძრაობა“ აღორძინებას დაიწყებს, არ მაქვს. მგონი, ხაზეს მიღმაა პროცესი, რომ „ნაცმოძრაობა“ ასე ვერ აღორძინდება იქიდან გამომდინარე, რომ ამხელა პარტიას იდეა უნდა გააჩნდეს და იდეა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გამოშვება ვერ იქნება. იდეაზე რომ ფიქრი არ მიმდინარეობს, ამ პარტიის წარმატების მიმართ სკეპტიკური ვარ. ვიმედოვნებ, რომ „ნაცმოძრაობას“ ბევრი ადამიანი გამოეყოფა. „ნაცმოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილის გარეშე საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს. თუმცა, არ მჯერა, რომ სააკაშვილს პოლიტიკიდან წასვლა შეუძლია და „ნაცმოძრაობას“ – სააკაშვილისგან წასვლა“,** – განაცხადა ხვიჩიამ.



შოთა ყავლაშვილი (ავტორი თენგიზ კიკალიშვილი)

# ის იყო რაინდი!

**ამას წინათ, რამდენიმე ახალგაზრდა ჟურნალისტთან და მათთან სტუმრად ჩამობრძანებულ თანატოლ კოლეგებთან ერთად, ძველი თბილისის მიმდებარე ტერიტორიებს ვათვალიერებდით და...**

მიხაროდა, რომ სტუმრები ვერ მალავდნენ ამ უბნებში მიმოფანტული ძველი თუ ახალი არქიტექტურული ძეგლების ნახვით გამოწვეულ აღტაცებას. აინტერესებდათ ძველი თბილისის აღდგენა–რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული დეტალები.

სამწუხაროდ, ჩემი ახალგაზრდა კოლეგები არ აღმოჩნდნენ მზად იმათ შეკითხვებზე კომპეტენტური პასუხების გასაცემად.

რაღაც მომენტში აღმოვჩნდით ერთ ულამაზეს ძეგლთან, რომელმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

ის, რომ მასპინძლებმა ძეგლის ავტორის ვინაობა ვერ დაასახელეს, მაინცდამაინც არ გამკვირვებია, მაგრამ ვისი(!!!) ძეგლი იყო, ესეც რომ არ იცოდნენ, ამან არამცთუ გამაოცა, არამედ...

გული იმაზე მწყდება, რომ რომელიღაც უცხოელი ნებისმიერი ცნობადი სახის საყვარელს რა ჰქვია, ეს იცის ახალთაობის დიდმა ნაწილმა. იცის, ვინ არის და რას „საქმიანობს“, მაგალითად... კობა ხაბაზი, ან, ვინმე მაჭუტაძე; იცის სპორტის რომელ სახეობაში ოსტატდება ლევან ხაბეიშვილი; ან, რომელი ფეხდაუბანელი დეპუტატი დახტის წივილ-კივილით პარლამენტის სხდომათა დარბაზის მაგიდებზე...

მაგრამ არ სმენია, არ იცის აგერ გუშინ – თუ გუშინწინდელ გამორჩეულ თანამემამულეთა სახელები, ვისი ნაღვაწითაც დღეს თავს იწონებს...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვიტყვი, რომ დღეს სწორედ იმ ძეგლის – უნიჭიერესი მოქანდაკის **თენგიზ კიკალიშვილის** შედევრის „მიზეზის“ – გამოჩენილი ხუროთმოძღვრის შოთა ყავლაშვილის დაბადების დღეა (28 იანვარი). მას 97 წელი შეუსრულდებოდა.

ბევრი მაქვს მოსაგონარი, მაგრამ ახლა დავესესხები „გურუს“ – სულ ცოტა ხნის წინ გაზეციურებულ გიგა ბათიაშვილს, რომლის წერილით (2016 წ.) „გავაცოცხლებ“ ჩემს უფროს მეგობარს, დიდ ხუროთმოძღვარსა და გამორჩეულ მოღვაწეს შითა ყავლაშვილს.

მხოლოდ ერთს დავამატებ ამ პაწია წარდგინებას: „ყავლაშვილის დროს“ გამორიცხული იყო ის არქიტექტურული განუკითხაობა, ბოლო 35 წელი რომ „დაბოგინობს“ თბილის-ქალაქში.



როცა საქმე ეხებოდა დედაქალაქის იერსახეს ქალაქის მთავარი არქიტექტორისთვის არ არსებობდა არავითარი ავტორიტეტი თუ მაღალჩინოსანი. იგი არ ეპუებოდა აბსოლუტურად არავის, არც ერთ ძალას.

ის ვაჟკაცი იყო, ნამდვილი რაინდი!

**ნუგზარ ფოფხაძე**

# ყავლი არასოდეს გაუვა!

**ვიხსენებ მართლაც ღვაწლმოსილს, თბილისის დიდ მოამაგეს, ხუროთმოძღვარ შოთა ყავლაშვილს.**

**ვინ იყო შოთა, რა შექმნა, რა შეჰმატა თბილისს? რატომ მოხდა, რომ დღემდე, განვლილ ბოლო 21 წლის მანძილზე ერთხელაც არ იყო ოფიციოზის მიერ, მათ შორის თბილისის მერიის, ტელე-რადიოს, პრესის მიერ ნახსენები? შოთა ყავლაშვილი, რომელიც ორჯერ იყო თბილისის მთავარი არქიტექტორი, ჯამში ცამეტი წლის მანძილზე... თავდაპირველად სამი წლის განმავლობაში. შვიდი წლის გასვლის შემდეგ, ქვეყანა დარწმუნდა, რომ შოთა ყავლაშვილი თბილისის საუკეთესო მთავარი არქიტექტორი იყო და კვლავ დაინიშნა ამ პოსტზე და ათ წელზე მეტ ხანს ღირსეულად ემსახურა თბილისს.**

შეიცვალა დრო. მოხდა გადაფასება რიგი მოვლენებისა, რიგი ღირებულებებისა, თუმცა, როგორც შემდგომში დროის გადასახედიდან გამოჩნდა, უმეტეს შემთხვევაში დროულად და სწორად, მაგრამ რიგ შემთხვევაში სამომავლო ცხოვრების საზიანოდ, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისთვის არცთუ სასიკეთოდ, განსაკუთრებით კულტურის იმ სფეროსთვის, რომელსაც გამორჩეული მამულიშვილები, ნამდვილი პროფესიონალები, თავიანთი საქმისადმი თავდადებულნი, ემსახურებოდნენ, რითიც შექმნეს მყარი საფუძველი ეროვნული მსოფლმხედველობის გამოსაფხიზლებლად. ერმა ხომ თავაწეულმა შეაბიჯა ამ ახალ ეპოქაში. შეაბიჯა გააზრებულად თავისი ევროპულობის ძირისა, რომელიც დოზირებულად ინტეგრირებულია „ორიენტალისტური“ კულტურის „სურნელთან“. ეს ხომ სრულად ვლინდება თბილისის რიგი უბნების განაშენიანებაში, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებთან მათ მორიგებაში. ეს კი მნიშვნელოვნად განპირობებულია თბილისის მოამაგეთა, ღირსეულ მამულიშვილთა და მათ შორის შოთა ყავლაშვილის საქმიანობით.

იყო წლები, როდესაც შოთა ყავლაშვილის ღირსეული ნაამაგარის ილუსტრირებით დატვირთული იყო ტელერადიო გადაცემები, ჟურნალ-გაზეთები და ასე შემდეგ. ყოველივე ხომ იყო სიხარულის გამომჟღავნება თბილისში მიმდინარე თბილისური არქიტექტურული პროცესების გამო, რომელსაც სათავეში ედგა შოთა ყავლაშვილი. დღესაც ხომ ბევრი მისი და მათ შორის იმათი, ვისაც სწორედ შოთამ გაუკვლია გზა, გაიყვანა ასპარეზზე, მართლაც მნიშვნელოვანი ნაამაგარი ამშვენებს თბილისს, ჩვენს ეროვნულ კულტურას. განა დღეს თავისი არქიტექტურული მნიშვნელობა დაკარგა ბარათაშვილის სახელობის ქუჩამ, ან უზნაძის №2-ში აშენებულმა ქორწინების და საცხოვრებელმა სახლმა, ან ავტოვაგზლის შენობამ, ან საცურაო აუზმა „ლაგუნა-ვერემ“, ან სასტუმრო „მეტეხი პალასმა“ და ბევრმა სხვა ნაგებობამ, მათ შორის ე.წ. ჩეხურმა სახლმა, რომელსაც მაღალი ხარისხის გამო ასე დაარქვა ხალხმა, თუმცა ეს პროექტი შოთა ყავლაშვილის შექმნილია, ან არაერთმა სპექტაკლის მხატვრობამ, ან არაერთმა საქართველოს საგამოფენო პავილიონმა საზღვარგარეთ. რომელი ერთი მოვიგონოთ. განა არ არის შოთას მოღვაწეობის განსაკუთრებულობის აღიარება არა მარტო ლაურეატობის საპატიო წოდებების, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი „საპატიო თბილისელის“ წოდების მინიჭებით, ყოველივესთან ერთად განსაკუთრებულია მისი ფასდაუდებელი ღვაწლი „ისტორიული თბილისის“ აჟღერების საქმეში.

მე, როგორც მისმა თანამოაზრემ, თბილისის მიმართ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა თბილისისადმი. რად ღირს თუნდაც ფაქტი, რომ მან შეძლო დაეძლია პროფესიონალის ხიბლი, გამხდარიყო კიდევ ერთი, თავისი ახალი არქიტექტურული ხედვით შემქმნელი პროექტისა „ახალი ბარათაშვილის ქუჩა“ ახლად გამოვლენილი გარემოების სასარგებლოდ. მოხდა ასე: როცა შოთამ დაიწყო თავისი პროექტით მშენებლობა, მშენებლობის პროცესში გამოჩნდა ისტორიული განაშენიანების კვალი. შოთამ დაინახა მისი ეთნოკულტურული მნიშვნელობა და უარი თქვა თავისი დაწყებული პროექტის განხორციელებაზე. მთლიანად შეცვალა იგი აქ ჩაქცეულ-ჩამარხული ისტორიული მემკვიდრეობის სასარგებლოდ. აქტიურად შეუდგა მისი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებების რეანიმაციას, რესტავრაციას, რეკონსტრუქციას და თანამედროვე ცხოვრებისთვის მორგებას. ასეთი რამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ შოთა ყავლაშვილს.

საწყენია, რომ მხოლოდ დღეს, მისი გარდაცვალებიდან 21 წლის შემდეგ უნდა მოვაგონოთ საზოგადოებას, თუ ვინ იყო შოთა ყავლაშვილი და როგორია ჩვენი ვალი მის მიმართ



**გიგა ბათიაშვილი,**
**არქიტექტორი**
**(„საქართველოს რესპუბლიკა“, 2016 წ.)**

# ხელოვნების სასახლე გრაფი ოლდენბურგის კუთვნილ გობელენის შეძენას გეგმავს

**საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი საფრანგეთის მეფის პირად მანუფაქტურულ სახელოსნოში, გრაფი ოლდენბურგის დაკვეთით მე-19 საუკუნეში დამზადებული გობელენის (კედელზე დასაკიდებელი, ფლამანდიელი ხელოსნების მიერ შალისა და აბრეშუმის ფერადი ძაფებით ხელით ნაქსოვი ხალიჩა-სურათია) შეძენას 6000 ლარად გეგმავს, რომელიც ამ დროისთვის კერძო პირის საკუთრებაშია. აღნიშნული ხალიჩა დამზადებულია ერთ ცალად. გობელენი (ფრანგული გობელენი) დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი სახეობაა.**

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი განთავსებულია მე-19 საუკუნეში, გრაფ ოლდენბურგის მიერ, სპეციალურად თავისი მომავალი მეუღლის-აგრაფინა ჯაფარიძისათვის აშენებულ სასახლეში. სასახლის აღწერილობიდან ირკვევა, რომ იმ დარბაზის გასაფორმებლად, სადაც შემდეგში მისი მეუღლე აგრაფინა თბილისის უმაღლესი საზოგადოებისთვის მართავდა მუსიკალურ საღამოებს, გრაფმა ოლდენბურგმა სპეციალურად შეუკვეთა გობელენი მანუფაქტურულ სახელოსნოში, რომელიც 1662 წელს საფრანგეთის მეფის ბრძანებით სენ-მარსელში დაარსდა (ეს საწარმო განთავსებული იყო ცნობილი მღებავების – გობელენების (პობელინს) ყოფილი სახელოსნოს შენობაში, საიდანაც მოდის იქ დამზადებული ხელით ნაქსოვი ხალიჩა-სურათების სახელი).



ის დეკორატიულ როლს ასრულებდა ინტერიერში. მასზე ასახულია იმ დროის მაღალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სალონური ცხოვრება. გობელენის გამორჩეული ნიშანია კუთხეებში ნაქსოვი სამეფო შროშანები, რაც სწორედ იმ მანუფაქტურული სახელოსნოს ნამუშევრებისთვის იყო დამახასიათებელი. ერთ ოსტატს შეეძლო, დაემზადებინა დაახლოებით 1-1,5 $მ^2$ (სიმკვრივის მიხედვით) გობელენი წელიწადში, ამიტომ გობელენი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მდიდარი მომხმარებლებისთვის და იმ დროსაც უიშვიათეს ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა. მისი ფლობა მხოლოდ უმდიდრეს და მაღალი საზოგადოების ოჯახებს ხელეწიფებოდა. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ოლდენბურგები საქართველოდან წავიდნენ და მათი ქონება მიმოიფანტა. მუზეუმის მხრიდან გაწეული უდიდესი საძიებო სამუშაოს ჩატარების შედეგად მოძიებულ იქნა აღნიშნული გობელენი კერძო კოლექციაში. მისი შეძენა და სასახლის იმავე დარბაზში განთავსება, სადაც ის თავდაპირველად იყო, უმნიშვნელოვანესი მიღწევა იქნება ქართული კულტურისა და ისტორიისათვის.





# სოლიკო ვირსალაძე – მხატვარი, რომელიც ცეკვას აცმევდა...

**თეატრალური სანახაობა წარმოუდგენელია სათანადო დეკორაციის, მხატვრობის და ჩაცმულობის გარეშე. მის წარმატებაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს უდიდესი როლი მიუძღვის.**

ქართულ თეატრალურ ხელოვნებას არა ერთი ცნობილი და პროფესიონალიზმით გამორჩეული სცენოგრაფი ჰყავს, ვინც თავისი შემოქმედებით ხელი შეუწყო მის მწარმოჩენას. მათ შორის უდავოდ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თავისი ხელწერით ცნობილი, საქვეყნოდ აღიარებული თეატრალური მხატვარი, ლენინური, ორგზის სტალინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი – **სოლიკო (სიმონ) ბაგრატის ძე ვირსალაძე.**

იგი ბაგრატ ვირსალაძის და ელენე მუსხელიშვილის ცნობილ ოჯახში დაიბადა 1908 წლის 31 დეკემბერს თბილისში. თეატრი, მუსიკა, მხატვრობა ვირსალაძეების ოჯახის ერთგვარ გატაცებას წარმოადგენდა. სოლიკო შემდგომ ხშირად ამბობდა, რომ მხატვრობისა და მუსიკისადმი მისი ინტერესი, ოჯახმა განაპირობა.

10 წლის სოლიკო ვირსალაძე პერონის საბალეტო სტუდიში შეიყვანეს. აქ გაიცნო მან ამავე სტუდიის მოწაფეები -– ვახტანგ ჭაბუკიანი და ნინო რამიშვილი. ქორეოგრაფიის პარალელურად სწავლობდა თბილისის სახალხო სამხატვრო სტუდიაში მოსე თოიძის ჯგუფში. 1927-28 წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიაში იოსებ შარლემანის კლასში ერთი წლით წრთობის შემდეგ, სწავლას აგრძელებს მოსკოვის უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტში – კარდოვსკის, რაბინოვიჩისა და შიფრინის ხელმძღვანელობით, სადაც პროფესორმა რაბინოვიჩმა მასზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა და ვირსალაძეში დეკორატიული ხელოვნების ინტერესი გააღვივა. ამ ხელოვნებისადმი მისი ლტოლვა და მიდრეკილება ლენინგრადის რეპინის სახელობის მხატვრობის, სკულპტურისა და არქიტექტურის ინსტიტუტში 1930-31 წლებშიც გაგრძელდა. 1931 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნიჭიერი მხატვარი, ნოვატორული იდეებით აღჭურვილი, ბრუნდება თბილისში.

ჩაცმულობის (სამოსის) ეფექტს უდიდესი ფუნქცია აკისრია თეატრალურ ხელოვნებაში. მისი როლი და ადგილი ამა თუ იმ სპექტაკლისა თუ სანახაობის წარმატებაში გადამწყვეტია. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ ვინ ქმნის დეკორაციებს, მხატვრობას, საერთოდ სცენოგრაფიას. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა პერსპექტიული მხატვრის სოლიკო ვირსალაძის ჩართულობას თეატრალურ ცხოვრებაში, ქართველი საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა. იწყება ხელოვნებაში ძიების შთაგონებით მიგნებული ახალი მიმართულებების აღმოჩენის პროცესი, რაც იმ პერიოდისთვის საკმაოდ რთული იყო და ერთგვარ რისკსაც კი შეიცავდა.

1932-36 და 1941-45 წლებში ვირსალაძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი მხატვარი იყო. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: ფალიაშვილის „დაისი", ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი" და „გედების ტბა". მხატვრის დიაპაზონი არაჩვეულებრივად ფართოა. მის შემოქმედებაში ვხვდებით დრამატულ სპექტაკლებსაც, რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმულ შანშიაშვილის „კრწანისის გმირებში", როსტანის „სირანო დე ბერჟერაკში", სოლოვიოვის პიესის მიხედვით „დიდ ხელმწიფეში" და სხვ.

იგი თხემით-ტერფამდე ქართველი იყო, ქართულ ნიჭიერებას ანსხვავებდა. მისი ესკიზებით შეიქმნა სპეციალური კოსტიუმები საქართველოს ცეკვის არა ერთი ანსამბლისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება ანსამბლ „სუხიშვილების" ჩაცმულობას, რაც უდავოდ ქართულ ეროვნულ სახედ უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ მხატვარი მთელი გულმოდგინებით და მონდომებით ეძებდა და იკვლევდა ჩვენი ეროვნული ჩაცმულობის ისტორიას და მის ბაზაზე ქმნიდა შესაბამის კოსტიუმებს, რომელიც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. ცნობილია, რომ ნიუ-იორკში სუხიშვილების ერთ-ერთ რეპეტიციაზე, მათთან სალვადორ დალი შესულა. მან როგორც კი მოცეკვავეების კოსტიუმები იხილა, უმალ ხმამაღლა წამოიძახა: **„სად არის მხატვარი? ის გენიოსია!"** მართლაც, ვირსალაძის მიერ შექმნილი სამოსის ესკიზები უმაღლეს შეფასებას იმსახურებს ფერთა ურთიერთშერწყმის, ერთმანეთში ჰარმონიულად და ლაკონიურად გადასვლის თვალსაზრისით. მხატვარი ღრმა წიაღსვლებით წავიდა ჩვენი ისტორიის წარსულში, ზედმიწევნით ზუსტად და იმ დროინდელი რეალობით გადმოსცა სამეფო და დიდგვაროვანთა ოჯახების საზეიმო ჩაცმულობა. განსაკუთრებით ეს ეხება ჩვენი სასიქადულო მეფის, თამარ მეფის სამოსს. მან იგი ვარძიის მონასტრის ფრესკის მიხედვით შექმნა.

**საინტერესოა, რომ მსოფლიო სცენაზე „სუხიშვილების" კონცერტებზე აპლოდისმენტები დარბაზში ცეკვის დაწყებისთანავე გაისმოდა. „ეს ტაში სოლიკო ვირსალაძის კოსტიუმებს ეკუთვნოდა! სოლიკოს გენიალური კოსტიუმების გარეშე ეს აღიარება, რაც ანსამბლმა მიიღო წლების მანძილზე, არ იქნებოდა..." - იხსენებდა ნინო რამიშვილი ანსამბლის უცვლელ მხატვარზე, რომელმაც არა მარტო ხალხური კოსტიუმი აიტანა სცენაზე, არამედ თავისი შექმნილი სამოსით გაახალხურა – „სამაია", „აჭარული", „სადარბაზო", „აფხაზური", „ჯეირანი", „ყაზბეგური", „დოქებით ცეკვა", „ხორუმი", „სიმდი"...**

ვიდრე საბჭოთა რეჟიმი ყველანაირ დასავლურს ახშობდა და ებრძოდა, ვირსალაძე, მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა, ჩვენში არტ-ავანგარდულ და მოდერნისტულ მიმართულებას ამკვიდრებდა.

1937 წელს ლენინგრადში მიიწვიეს, სადაც კიროვის სახელობის (ამჟამად მარიას სახელობის) ოპერისა და ბალეტის თეატრში გააფორმა ჭაბუკიანის მიერ დადგმული ბალეტები – ანდრია ბალანჩივაძის „მთების გული" (1938წ.) და კრეინის „ლაურენსია" (1939წ.). ვირსალაძე 18 წლის განმავლობაში ზემო აღნიშნული თეატრის მთავარი მხატვარი იყო. იქ მის მიერ უდიდესი წარმატებით გააფორმა სპექტაკლები: გლაზუნოვის „რაიმონდა" (სტალინური პრემია, 1949 წელს), კაბალევსკის „ტარასის ოჯახი" (სტალინური პრემია 1951 წელს), ჩაიკოვსკის ბალეტები „მაკნატუნა", „მძინარე მზეთუნახავი" და სხვა. პარალელურად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრშიც დგამდა სპექტაკლებს: შოპენის მუსიკის მიხედვით „შოპენიანას" (1943წ.), მაჭავარიანის „ოტელოს" (1957წ.), მოცარტის „დონ ჟუანს" (1964წ.). თავის დეკორაციებში იგი უმაღლეს ემოციურ გამომხატველობას აღწევდა, ახდენდა რა ფერების და სინათლის ოსტატურ შერწყმას. უმაღლესი მხატვრობის, მდიდარი, მრავალმხრივი და კოლორიტული ფერთა გამის, ამაღლებული რომანტიკულობის, უბრალოებისა და ლაკონიურობის ურთიერთ შერწყმით გადმოსცემდა სტილის ზუსტ შეგრძნებას. მას უწოდებდნენ „მხატვარს, რომელიც ცეკვას აცმევს". მან XX საუკუნეში ყველასგან განსხვავებული, თავისი საკუთარი სცენოგრაფიული ხელწერა შექმნა, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა მაშინდელ თეატრალურ ხელოვნებაში. თეატრის, მუსიკის, ქორეოგრაფიის ღრმა მცოდნეს, შეეძლო შეექმნა ზუსტი მხატვრული ენა, რომელიც შეესატყვისებოდა მუსიკალურ განწყობას სცენოგრაფიაში. სოლიკო ვირსალაძის მიერ შექმნილი თეატრალური მხატვრობა სრული სახით, უზუსტესი გემოვნებით და უზენაესობით უდავოდ განსაკუთრებულ და გამორჩეულ ადგილს იკავებს მსოფლიო ხელოვნებაში.

მხატვრის შემოქმედებაში ბალეტმაისტერ იური გრიგოროვიჩთან აქტიური თანამშრომლობა ერთ დიდ ალიანსს წარმოადგენდა თეატრალურ სფეროში. ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩამოყალიბდა ორი დიდი ხელოვანის თანამშრომლობით ტანდემი. ქორეოგრაფი ხშირად აღნიშნავდა, რომ სოლიკო მისი სპექტაკლების თანაავტორი იყო. ამ ურთიერთკავშირმა საბალეტო სპექტაკლების მხატვრულად გაფორმების საქმეში სრულიად ახალი პრინციპები ჩამოაყალიბა. შეიქმნა ერთი მთლიანი აწყობილი სისტემა. მან „მხატვრული სიმფონიზმის" მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც სრულ თანხმობაში და თანხვედრაში იყო ქორეოგრაფთან.

ლენინგრადის თეატრში მათი პირველი ერთობლივი ნამუშევარი პროკოფიევის ბალეტი „ქვის ყვავილი" იყო. ამას მოჰყვა თორმეტი ბალეტი დიდი თეატრის სცენაზე მოსკოვში, სადაც სოლიკო ვირსალაძე 1965 წლიდან მთავარი მხატვრის თანამდებობაზეა. აქ შექმნილი სპექტაკლებიდან პრემირებულია – ხაჩატურიანის „სპარტაკი" (ლენინური პრემია, 1977წ.) და ეშპაის „ანგარა" (სახელმწიფო პრემია, 1977წ.). მხატვარი აქტიურად თანამშრომლობდა სხვა ცნობილ ბალეტმაისტერებთან, ისეთებთან, როგორებიც იყვნენ: ვახტანგ ჭაბუკიანი, კონსტანტინ სერგეევი, ვასილ ვაინონენი, პეტრე გუსევი და სხვები. მათი სპექტაკლებისთვის სოლიკო ვირსალაძის ნოვაციები განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა, მან საბალეტო ხელოვნებაში დაამკვიდრა დრამატული ეპიზოდების სწრაფი მონაცვლეობის კინემატოგრაფიული ხერხი, რომელიც ქორეოგრაფიულ ქმედებას არნახულ დინამიურობას ანიჭებდა. ვირსალაძის „მოძრავი დეკორაციები" აღქმულ იქნა როგორც ახალი სიტყვა XX საუკუნის ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. მისი სცენოგრაფია ყოველთვის ზუსტად ესადაგება მუსიკალურ „ფრაზებს", ინტონაციას და ქორეოგრაფიულ სურათს. მისმა შემოქმედებამ სრული გადატრიალება მოახდინა და მთელი ეპოქა შექმნა თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებაში. მანვე შეასრულა კოსტიუმები ფილმებისათვის – „ჰამლეტი" და „მეფე ლირი" (ლენინური პრემია, 1970წ.). ამავე დროს იგი მსოფლიო თეატრების – პარიზი, სტოკჰოლმი, რომი, ვენა, პრაღა, სოფია საბალეტო დადგმების უშუალო მონაწილე და თანაავტორი გახლდათ.

შეიძლება ზოგიერთმა თქვას, რომ მხატვარი ძირითადად რუსულ კულტურას ემსახურებოდაო! ასეთ მოსაზრებას ვერა და ვერ დავეთანხმებით, რადგან იქ დადგმულ საბალეტო სპექტაკლებშიც კი ვირსალაძის აშკარა ქართული ხელწერა მოჩანდა.

სოლიკო ვირსალაძეს ასკეტური პირადი ცხოვრება ჰქონდა. მას ცოლ-შვილი არ ჰყავდა. ამბობდა, რომ ხელოვნებაზე იყო დაქორწინებული. ვირსალაძეების ოჯახს უცნაური ბედი, უფრო სწორად, უბედობა დაჰყვა. ჯერ 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა მხატვრის მამა და უფროსი დის, ხელოვნებათმცოდნე თინათინ ვირსალაძის მეუღლე. გადასახლებული იყო უმცროსი და – ფოლკლორისტი ელენე (ლოლიტა) ვირსალაძე, რომლის შვილიშვილი, მსახიობი ლევან აბაშიძე აფხაზეთის ომში დაიღუპა...

დარწმუნებული ვარ, უნიჭიერესი სცენოგრაფის სოლიკო ვირსალაძის ტრიუმფალური წარმატებები, თავის გამორჩეულ და სამაგალითო ადგილს დაიმკვიდრებს თეატრალური ხელოვნების ისტორიაში.

სოლიკო ვირსალაძე 1989 წელს გარდაიცვალა 80 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

**გელა ქოქიაშვილი,**

**ქართული კულტურის ამაგდარი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი. სიღნაღის საპატიო მოქალაქე**



# 1. ყაზახები და არაბები დაძმობილდნენ!..



**ყაზახეთის პრეზიდენტმა კასიმ-ჯომარტ-ტოკაევმა წელს პირველი საგარეო ვიზიტი განახორციელა: არაბთა გაერთიანებულ საემიროებს ეწვია, სადაც ქვეყნის პრეზიდენტი, შეიხ-მოჰამედ-ბინ-ზაიდ-ალ-ნეჰიანი მას პომპეზურად დახვდა.**

**ვიზიტი შეხვედრებით იყო გაჯერებული: ჯერ, თავად სახელწიფოს მეთაურთა შეხვდრა შედგა, რომელის დროსაც ტოკაევმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული საემიროები ყაზახეთის მთავარი და საიმედო სტრატეგიული პარტნიორია, ზოგადად, მთელ ისლამურ და, კერძოდ, არაბულ სამყაროში.**

ყაზახეთის მეთაურმა მონაწილეობა მიიღო აბუდაბის მდგრადი განვითარების კვირეულის სამიტში და ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრების დროს, სავაჭრო და სატრანსპორტო თანამშრომლობის არაერთ დოკუმენტს მოეწერა ხელი, რომელთაგან, უმთავრესი ყაზახეთის ნავთობისა და ბუნებრივი აირის ეროვნულ კომპანიას „ყაზმუნაიგაზსა" და არაბეთის გაერთანებული საემიროების მთავარ ლოჯისტიკურ კომპანიას Abu-Dhabi-Ports-Company-ის შორის დადებული ხელშეკრულებაა. ამ შეთანხმებით, ყაზახეთი და საემიროები კასპიის ზღვაზე ერთობლივ სატრანსპორტო საზღვაო ფლოტს შექმნიან. ასევე, საემიროები პასუხისმგებლობას იღებენ ყაზახეთის სანაპირო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. მხარეები საერთაშორისო ფინანსურ ცენტრ „ასტანაზე" დაფუძნებულ ერთობლივ საწარმოს შექმნიან, რომელიც კასპიის ზღვაში ნავთობისა და გაზის პროექტებისთვის საზღვაო მომსახურებას უზრუნველყოფს. შეთანხმების მიხედვით, ყაზახეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები, კასპიის ზღვაში ოფშორული პროექტების მხარდასაჭერად, სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის გემების, ასევე, ტანკერების ფლოტს შექმნიან, რისი მთავარი მიზანი ყაზხური ნავთობის ექსპორტისთვის ალტერნატიული მარშრუტების შემუშავებაა, რომელიც აქტაუს პორტის გავლით აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი-ევროპის მიმართულებასაც გულისხმობს.

ამასთან, ყაზახეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები სავაჭრო ფლოტის შექმნის შესაძლებლობებსაც შეისწავლიან, რაც ტრანსკასპიური მარშრუტით ჩინეთიდან ევროპაში საკონტეინერო ბორნების მშენებლობას ან შეძენას ითვალისწინებს. ყაზახეთის პრეზიდენტი მიესალმა ხელშეკრულების გაფორმებას. მისი თქმით, ყაზახეთი ცენტრალურ აზიაში და კასპიის რეგიონში, საემიროების დახმარებით, სატრანსპორტო ჰაბად გადაიქცევა.

დღესდღეობით, ყაზახეთს პატარა სატრანსპორტო ფლოტი ჰყავს. ყაზახეთის ნავთობის ექსპორტი ტანკერების მეშვეობით ხორციელდება, რადგან, დღემდე არ არსებობს დიდი ნავთობ-მილსადენი. ეს მილსადენი კასპიის ზღვის ფსკერზე უნდა გავიდეს, მაგრამ, იმის გამო, რომ დღემდე არ გარკვეულა კასპიის ზღვის საერთაშორისო სტატუსი, ამ მილის აშენება, ჯერჯერობით, მიზანშეწონილი არ არის. ხელშეკრულების მეშვეობით კი, ყაზახეთი დიდი ოდენობით ნავთობისა და სავაჭრო კონტეინერების გადაზიდვას შესძლებს.

ყაზახეთის დღევანდელი მთავრობა რუსეთ-დასავლურ დაპირისპირებაში, ასე ვთქვათ, ნეიტრალურ პოზიციას იკავებს. მას სურს, მთლიანად დაშორდეს რუსეთს, მაგრამ რუსეთი, ჯერ კიდევ, შესაბამის ძლიერ ბერკეტებს ფლობს. ამიტომ, რუსეთი რომ არ გააღიზიანოს, ყაზახეთის მთავრობა ამ ეტაპზე სავაჭრო გზების დივერსიფიკაციას ცდილობს. რა თქმა უნდა, ყაზახეთი უარს არ ამბობს რუსეთთან ერთად საერთო სავაჭრო დერეფნის შექმნაზე, მაგრამ, როგორც ტოკაევმა განაცხადა, ეს დერეფანი მხოლოდ მოქმედი სანქციებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გათვალისწინებით იმოქმედებს.

# 2. ბაიდენი ამერიკას მიგრანტებით გაალატაკებს!



**ჯოზეფ ბაიდენის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დემოკრატები ფიქრობდნენ, რომ შესძლებდნენ ამერიკის საიმიგრაციო პოლიტიკის დახვეწას. სწორედ, ამას პირდებოდა ბაიდენი ამომრჩეველს. მას თავისი საპრეზიდენტო კამპანია, ძირითადად, ამ თემაზე ჰქონდა აგებული. იგი მწვავედ აკრიტიკებდა დონალდ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკას. ბაიდენის თქმით, ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა არაადამიანური იყო.**

უკვე, ორი წელი გავიდა ბაიდენის ხელისუფლებაში მოსვლიდან, მაგრამ დაპირებული ჭკვიანური საიმიგრაციო პოლიტიკა დღემდე არ არის შემუშავებული და განხორციელებული. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ამერიკულ საზოგადოებაში, ზოგადად, და, კერძოდ, დემოკრატებში, საიმიგრაციო საკითხებში გახლეჩილობა სუფევს. დემოკრატების ლიბერალური ფრთა საზღვრების გახსნას მოითხოვს. ისინი ამბობენ, რომ ამერიკა ემიგრანტების ქვეყანაა და მთავრობამ ხელი არ უნდა შეუშალოს მიგრანტების ქვეყანაში შემოსვლასო. დემოკრატების მემარჯვენე ფრთა კი, უფრო, კონსერვატორების პოლიტიკას იზიარებს. მათი აზრით, მიგრანტების დიდი ნაკადი ქვეყანაში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას იწვევს, მაგრამ, კონსერვატორებისგან განსხვავებით, ისინი თვლიან, რომ მიგრანტების შემოსვლა უნდა კონტროლდებოდეს და იზღუდებოდეს შესაბამისად.

ბაიდენის ადმინისტრაცია, დემოკრატების ორივე ფრთის სასიამოვნოდ, ერთმანეთის საწინააღმდეგო კანონებს იღებს ხოლმე: ხან, აადვილებს და ხან, ამკაცრებს იმიგრაციას. CNN-ის ერთმა ჟურნალისტმა ამაზე ხუმრობით სთქვა, ტყუილად ნუ ეცდებით ბაიდენის საიმიგრაციო პოლიტიკაში გარკვევასო. ამერიკის სამხრეთში, 3145-კილომეტრიან საზღვარზე მექსიკასთან, კატასტროფული მდგომარეობაა. ამერიკის სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების ცნობით, სამხრეთის საზღვრის კვეთის მაჩვენებელმა 2022 წელს 2 400 000-ს მიაღწია. ექსპერტების აზრით, მომავალში მიგრანტთა რაოდენობა უფრო გაიზრდება.

კორონავირუსის პანდემიამ და სტიქიურმა კატაკლიზმებმა ლათინურ ამერიკაში მოსახლეობის საშინელი გაღარიბება გამოწვია. გაღატაკებული ხალხი ამერიკის საზღვრებს მიაწყდა. 2022 წელს, ლტოლვილებს ლათინური ამერიკიდან რუსებისა და უკრაინელების ნაკადი დაემატა. ამერიკის სამხრეთის შტატების გუბერნატორები, უკვე, კარგა ხანია, განგაშს ტეხენ. ისინი საზღვრის ჩაკეტვას მოითხოვენ. მოთხოვნას ზოგიერთი დემოკრატი გუბერნატორიც შეუერთდა. მაგალითად, ნიუ-იორკის გუბერნატორი ხმამაღლა აღიარებს, რომ ნიუ-იორკის შტატი უკვე ვეღარ იტევს მიგრანტებს. მისი აზრით, ბაიდენის პოლიტიკამ ვერ გაამართლა და ახალი პოლიტიკის შემუშავებაა საჭირო.

როგორც ჩანს, ბაიდენიც მიხვდა, რომ მისი პოლიტიკა ჩავარდა. ამიტომ, იანვრის დასაწყისში, ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ქვეყანაში მიგრანტების შემოსვლის გამკაცრებას ითვალისწინებს. ამ კანონით, ამერიკის მესაზღვრეები ლტოლვილებს ნიკარაგუადან, ჰაიტიდან, კუბიდან და ვენესუელიდან აღარ მიიღებენ, და დაუყოვნებლივ გააბრუნებენ უკან. ამის საპირწონედ, ამერიკა ამ ქვეყნებიდან 30 000 მიგრანტს მიიღებს ყოველთვიურად, მაგრამ ისინი მკაცრ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდნენ, მათ შორის, უნდა ჰყავდეთ მეურვე ამერიკაში. როგორც შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტმა აღნიშნა, ეს გამკაცრება სხვებსაც შეეხება. მაგალითად, ამერიკაში თავშესაფრის მაძიებლებს ეძლევათ უფლება, მექსიკისა და ამერიკის საზღვარი კანონიერად გადაკვეთონ, თუ მათ შესაბამისი საბუთები ექნებათ და ამერიკელი მეურვე ეყოლებათ. როგორც ამერიკის მასმედია იუწყება, ამ კანონს მეორე ახალი კანონი დაემატება, რომელიც ამერიკის მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს, მიგრანტებს უპატრონონ, ანუ, პასუხი აგონ მათ ფინანსურ და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე.

რესპუბლიკელებმა ეს კანონები მწვავედ გააკრიტიკეს. ისინი ტრამპის პოლიტიკის გაგრძელებას მოითხოვენ. სამხრეთის შტატების მოსახლეობის დასამშვიდებლად, ბაიდენი იანვარში, თავისი პრეზიდენტობის პერიოდში პირველად, სასაზღვრო ქალაქ ელ-პასოს ეწვია, სადაც პრეზიდენტმა 4 საათი დაჰყო და საზღვრის დაცვის სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა. ბაიდენმა სცადა მესაზღვრეების დაწყნარება და მოტივირება. მოგვიანებით, ის მექსიკაში გაფრინდა ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე. შეხვედრის მთავრი თემა საემიგრაციო პოლიტიკა იყო. საკითხთან დაკავშირებით, ბაიდენს და მექსიკის პრეზიდენტს უთანხმოება აქვთ. ობრადორმა, ბაიდენს შეახსენა, რომ მისი მთავრობა ლტოლვილების რაოდენობის შემცირებისთვის ყველაფერს აკეთებს, მაგრამ თუ ამერიკას მიგრანტების ნაკადის შემცირება სურს, მან მოსაზღვრე ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარება უნდა გაიღოს.

**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
**POSTV**

## მაკრონი უკრაინას ეთამაშება...



**საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი უკრაინისთვის ავიაგამანადგურებლების გაგზავნას არ გამორიცხავს.** ამავე დროს, საფრანგეთის ლიდერი კონფლიქტის ესკალაციის რისკზე საუბრობს.

**„პრინციპში, არაფერია გამორიცხული"**, – განაცხადა მაკრონმა დანიის პრემიერ-მინისტრთან, მარკ რუტესთან შეხვედრის შემდეგ, როდესაც მას კიევისთვის ავიაგამანადგურებლების გაგზავნის შესაძლებლობაზე დაუსვეს შეკითხვა.

ამასთან, მაკრონმა ჩამოთვალა კრიტერიუმები შეიარაღების მიწოდების ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე. მათ შორისაა ის, რომ ნებისმიერმა შეიარაღებამ არ უნდა შეუწყოს ხელი ესკალაციას. ასევე ის, რომ შეიარაღება არ იქნება გამოყენებული რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმებისთვის, არამედ მხოლოდ წინააღმდეგობის ძალისხმევისთვის. ამასთან, ემანუელ მაკრონმა აღნიშნა, რომ იარაღის ნებისმიერმა მიწოდებამ არ უნდა შეასუსტოს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები.

## აშშ უკრაინისთვის გამანადგურებლების გადაცემას არ აპირებს

**აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ ვაშინგტონი კიევს F-16-ის ტიპის გამანადგურებელ თვითმფრინავებს არ მიაწვდის.**

თეთრ სახლთან ჟურნალისტმა ბაიდენს ჰკითხა, გეგმავდა თუ არა პრეზიდენტი უკრაინისთვის გამანადგურებლების მიწოდებას, რაზეც ბაიდენმა უპასუხა: „არა".

ჯო ბაიდენს მანამდეც განუცხადებია, რომ სამხედრო თვითმფრინავების მიწოდების საკითხი დღის წესრიგში არ არის. მედიასთან საუბრისას, ბაიდენმა ასევე აღნიშნა, რომ დარწმუნებული არ არის, ეწვევა თუ არა ევროპას თებერვალში, უკრაინაში ომის დაწყების წლისთავზე. ამასთან, აშშ-ის ლიდერმა განაცხადა, რომ აპირებს პოლონეთში ვიზიტს, თუმცა არ არის დარწმუნებული, როდის.





# კადიროვის აზრით ჩეჩნეთი არარსებული სახელმწიფოა!

ჩეჩნეთის რესპუბლიკის კრემლის მიერ ხელდასხმული ლიდერი **რამზან კადიროვი** გამოეხმაურა პოლონეთის პრემიერ-მინისტრ მატეუშ მორავიეცკის სიტყვებს, რომ ჩეჩნეთი „დამოუკიდებლობას იმსახურებს" და ევროპის ქვეყნები ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომების დროს არაღიარებული იჩქერიისადმი მხარდაჭერის ნაკლებობაში დაადანაშაულა.

**„სად იყავით, როცა იჩქერიისთვის ვიბრძოდით? როცა დამოუკიდებლობის ინტერესებს ვიცავდით? რატომ არ დაგვიჭირეს მხარი ევროპულმა სახელმწიფოებმა, მათ შორის უკრაინამ (მაშინ)? დღეს კი მოულოდნელად გადაწყვიტეთ მხარი დაუჭიროთ არარსებულ სახელმწიფოს?"** – განაცხადა კადიროვმა თავის ტელეგრამ-არხზე.

მან დასძინა, რომ თავად იყო „მგზნებარე იჩქერიელი" და რომ თითქოს, ეს ევროპამ არ მისცა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მომხრეებს „საკუთარი სახელმწიფოს აშენების უფლება"". ამის შემდეგ კადიროვმა იჩქერიის ამჟამინდელ მომხრეებს „მოღალატეები" უწოდა, შემდეგ კი უკრაინაში რუსეთის შეჭრის გამართლების მცდელობაზე გადავიდა. ამ კონტექსტში მიმართა მან პოლონეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, „თქვენსკენ მოვდივართო" და „დაჩოქებისკენ" მოუწოდა.

მორავიეცკიმ 26 იანვარს ფრანგულ ტელეარხ LCI-სთან ინტერვიუში თქვა, რომ ჩეჩნეთი „იმსახურებს დამოუკიდებლობას", რადგან რესპუბლიკის მცხოვრებლები „ამისთვის მამაცურად იბრძოდნენ საუკუნეების განმავლობაში". ხოლო „რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იქ იყო ნგრევა და ბევრი სამხედრო დანაშაული". მას იჩქერია არ უხსენებია, თუმცა თქვა, რომ „რუსეთის მეზობელს" უსურვებს „ყველაფერ საუკეთესოს ნორმალური ქვეყნის, ნორმალური განვითარებისა და ნორმალური ურთიერთობების კონტექსტში."

**1990 წლის ნოემბერში გროზნოში დაარსდა ეროვნული კონგრესი. მის ხელმძღვანელად მიიწვიეს ჩეჩნური წარმოშობის ერთადერთი გენერალი საბჭოთა არმიაში – ჯოხარ დუდაევი, რომელიც მაშინ ესტონეთში ცხოვრობდა. 1991 წლის 27 ოქტომბერს ჯოხარ დუდაევი აირჩიეს ჩეჩნეთის პრეზიდენტად, რამდენიმე დღის შემდეგ მან თავისი პირველი ბრძანებულებით ჩეჩნეთის იჩქერიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამას მოჰყვა რუსეთის ორი სამხედრო კამპანია ჩეჩნეთში, შედეგად ათასობით მსხვერპლი, დევნილი. რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დროს რესპუბლიკამ დაკარგა დამოუკიდებლობა.**

**2022 წელს ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საკითხი საერთაშორისო დონეზე პირველად წამოაყენა უკრაინელმა დეპუტატმა და ქვეყნის წარმომადგენელმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ოლექსი გონჩარენკომ. მანამდე ის უმაღლეს რადაში ინტერფრაქციულ ასოციაციას „თავისუფალი კავკასიისთვის" ხელმძღვანელობდა.**

**ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მომხრეები უკრაინის მხარეს 2014 წლიდან იბრძვიან, როდესაც რუსეთმა ყირიმის ანექსია გამოაცხადა და მხარი დაუჭირა სეპარატისტებს დონბასსა და ლუგანსკში.**

# როგორ აკნინებენ სამედიცინო პერსონალს!..

## ანუ, მინიმალური ხელფასი რომ არ გადაუხადონ, კლინიკებში ექთნების პოზიციებს აუქმებენ ან სამსახურიდან უშვებენ!



**იანვრიდან ექიმებისა და ექთნებისთვის მინიმალური საათობრივი ანაზღაურება დაწესდა. თითქოს ამით მეტად საპასუხისმგებლო პოზიციაზე დასაქმებულ პერსონალს შეღავათი უნდა მიეღო, მაგრამ გარკვეული ნაწილისთვის ვითარება, პირიქით, გაუარესდა. მინიმალური ხელფასი რომ არ გადაუხადონ, კლინიკები ექთნების პოზიციებს აუქმებენ ან საერთოდ უშვებენ კლინიკებიდან.**

მინიმალური საათობრივი ანაზღაურებაის დაწესების შემდეგ ექიმებისთვის მინიმალური ანაზღაურება – 1 საათში 7 ლარით, თვეში, საშუალოდ, 1 260 ლარით, ხოლო ექთნების – 1 საათში 4.4 ლარით, თვეში, საშუალოდ, 792 ლარით განისაზღვრა. საერთო ჯამში, ხელფასის ზრდა 9 000-მდე ექიმსა და 8 000-ზე მეტ ექთანს შეეხო, თუმცა, როგორც ირკვევა, სამედიცინო დაწესებულებები ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილებას გაურბიან და ექთნებს პოზიციურად „აკნინებენ". სფეროს წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ კლინიკების მხრიდან მინიმალური ხელფასის გადახდისგან თავის არიდების ფაქტები გახშირდა. როგორც სოლიდარობის ქსელის თავმჯდომარემ **სოფო ჯაფარიძემ** აღნიშნა – **„ექიმებისა და ექთნებისთვის მინიმალური ხელფასის დაწესებას მივესალმებით და ძალიან გვიხარია. თუმცა, პრობლემამ იჩინა თავი. კლინიკები აუქმებენ ექთნების პოზიციებს, რომ არ გადაუხადონ მათ მინიმუმი ხელფასი და გადაყავთ ექთნის ასისტენტად, ტექნიკოსად, ლაბორანტად, ანუ სხვა დასახელებას აძლევენ, რათა არ გადაუხადონ ის მინიმალური ანაზღაურება, რაც დააწესა სახელმწიფომ. თუ ექთანს 3 წლამდე მუშაობის სტაჟი ან უვადო ხელშეკრულება არა აქვს, ძალიან მარტივად შეუძლიათ კლინიკებს, რომ ეს გააკეთონ.**

**ძალიან ბევრმა ექთანმა დაგვირეკა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ამ პრობლემის შესახებ. ჩვენ გავაგებინეთ შესაბამის უწყებებს და აქტიურად ვმუშაობთ, რომ არ გადაიყვანონ ექთნები სხვა პოზიციებზე ან ვინც გადაიყვანეს, დაუბრუნონ ექთნის პოზიცია და მინიმალური ხელფასიც გადაუხადონ.**

**გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ასაკით უფროს ან პენსიონერ ექთნებს უშვებენ სამსახურიდან და ვინც რჩება, მათ ამუშავებენ ორმაგად, ოთხმაგად. მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ შრომის ინსპექციამ გადაწყვიტა კლინიკების შემოწმება ამ თვალსაზრისით, მაგრამ რამდენს გაწვდებიან? არ აქვთ ამხელა ადამიანური რესურსი, რომ ყველა კლინიკაში შევიდნენ".**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შესაძლო შემთხვევების შესახებ ინფორმირებულია. სანიმისტროში შემავალ სტრუქტურაში – შრომის ინსპენქციის სამსახურში ამბობენ, რომ თუ ინსპექტირებისას მსგავსი ფაქტი დადასტურდება, შემთხვევა ჩაითვლება დარღვევად, რაც გამოიწვევს სამედიცინო დაწესებულების დაჯარიმებას, ასევე კლინიკას დაეკისრება ექიმისა და ექთნის კუთვნილი ხელფასის სრულად ანაზღაურება.

**„2023 წლიდან შრომის ინსპექციის სამსახური ექიმებისა და ექთნების მინიმალური ხელფასის საკითხსაც შეისწავლის. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სტაციონარული კომპონენტით ჩართული ყველა კლინიკა ვალდებული იქნება ექიმებისა და ექთნების სახელფასო ანაზღაურება, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მინიმალური ზღვრის გათვალისწინებით დაადგინოს. შრომის ინსპექციის სამსახურს აქვს უფლებამოსილება განახორციელოს სრული ინსპექტირება სამედიცინო დაწესებულებებში, როგორც შრომის უფლებების აღსრულების, ასევე ექიმებისა და ექთნების მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.**

**კანონმდებლობაში მკაფიოდ არის განმარტებული ექიმისა და ექთნის ფუნქცია-მოვალეობები, შესაბამისად, თუ ინსპექტირებისას დადგინდება, რომ მინიმალური ხელფასის ანაზღაურების თავიდან არიდების მიზნით, ექიმს ან ექთანს დაკისრებული აქვს რანგით უფრო დაბალი ან სხვა პროფესიის ფუნქციები, შრომის ინსპექციის სამსახურის მხრიდან ეს ფაქტი ჩაითვლება დარღვევად, რაც გამოიწვევს სამედიცინო დაწესებულების დაჯარიმებას, კლინიკას ასევე დაეკისრება ექიმისა და ექთნის კუთვნილი ხელფასის სრულად ანაზღაურება.**

**შრომის ინსპექციის სამსახურს ექნება შესაბამისი, მკაცრი რეაგირება დამსაქმებლების მხრიდან განხორციელებულ ნებისმიერ არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე და ყველა დასაქმებულის უფლება იქნება დაცული კანონის შესაბამისად!"** – აცხადებენ შრომის ინსპექციის სამსახურში.

**ბექა დანელია**

ინტერნეტ-მოამბე

# კავკასიელი ფარაონები



**მაქს პლანკის სახელობის ინსტიტუტისა და ქალაქ ტიუბინგენის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ნაწილობრივ შეძლეს 90 ეგვიპტური მუმიის გენომის აღდგენა, რომელთა ასაკი 3500-დან 1500 წლამდე მერყეობს.**

ანალიზის საფუძველზე, გერმანელმა მკვლევარებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ძველი ეგვიპტელები წარმოშობით აფრიკელები არ ყოფილან: მათგან ზოგიერთი წინა აზიის მკვიდრი იყო, ზოგიც – **სამხრეთ ევროპისა, უფრო სწორად კი იმ ადგილებიდან, სადაც ამჟამად ისრაელი, იორდანია, სირია, ლიბანი და საქართველო მდებარეობენ.**

ცოტა ხნით ადრე მსგავსი კვლევები ჩაატარეს შვეიცარიის ციურიხის IGENEA-ს გენეალოგიური ცენტრის სპეციალისტებმა. მათ თვით ფარაონ ტუტანჰამონის მუმიიდან გენეტიკური მასალის – მარცხენა მხრისა და ფეხის ძვლის ქსოვილის – მოპოვება შეძლეს.

მკვლევარებმა ჭაბუკი ფარაონისა და თანამედროვე ევროპელთა გენომები ერთმანეთს შეადარეს და გასაოცარი აღმოჩენა გააკეთეს: **თურმე ბევრი მათგანი ტუტანჰამონის ნათესავი ყოფილა – აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ევროპელ მამაკაცთა დაახლოებით ნახევარი „ტუტანჰამონები" არიან!** ზოგიერთ ქვეყანაში კი, კერძოდ, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ესპანეთში, მათი რაოდენობა 60-70 პროცენტსაც აღწევს!

დნმ-ებს ერთმანეთს ეგრეთ წოდებული „ჰაპლოჯგუფების" მიხედვით ადარებდნენ – ესენი დნმ-ების დამახასიათებელი ფრაგმენტებია, რომლებიც თაობიდან თაობას ფაქტობრივად უცვლელი სახით გადაეცემა. „ფარაონის ნათესავები" საერთო ჰაპლოჯგუფმა R1B1A2-მა „გასცა". მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს „ტუტანჰამონის ჯგუფი", რომელიც დიდადაა გავრცელებული ევროპელ მამაკაცებში, ძალიან იშვიათია თანამედროვე ეგვიპტელებში – იქაურ მამაკაცებში ამ ჯგუფის გენომის მატარებელთა რიცხვი საერთო ოდენობის ერთ პროცენტს არ აღემატება.

შვეიცარიელ და გერმანელ მეცნიერთა გენეტიკურმა კვლევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ **თანამედროვე ეგვიპტელები, თავიანთ მასაში, სულაც არ არიან ძველ ფარაონთა დეგრადირებული შთამომავლები.** ამ უკანასკნელებს ძველ მმართველებთან საერთო თითქმის არაფერი აქვთ, რაშიც, როგორც ჩანს, ეგვიპტური საზოგადოების ზოგიერთი თვისებების ახსნა შეიძლება ვეძიოთ. **თავად ფარაონები კი აშკარად არაადგილობრივი წარმოშობისანი არიან.**

**– მიმაჩნია, რომ ეგვიპტეს ფარაონთა და თანამედროვე ევროპელთა შორეული წინაპარი კავკასიაში, დაახლოებით 9500 წლის წინათ ცხოვრობდა,** – აცხადებს IGENEA-ს ცენტრის დირექტორი **რომან შოლცი.** – დაახლოებით 7 ათასი წლის წინათ მისი შთამომავლები ევროპაში გადასახლდნენ, ვიღაცამ კი ეგვიპტეს მიაღწია და მერე მისი მმართველიც გახდა.

მაშასადამე, გამოდის, რომ **ტუტანჰამონის პაპის-პაპის-პაპის-პაპისა და .ა. შ. პაპები, ასევე, ცხადია, თავად ისიც, „კავკასიური ეროვნების პირები" ბრძანდებოდნენ!** თანაც არცთუ შორსაა ის დრო, როცა ისინი – თავიანთი სურვილის შესაბამისად! – გაცოცხლდებიან კიდეც!

სულ ახლახან, ავტორიტეტულ ჟურნალ Nature Communications-ში, ქალაქ ტიუბინგენის უნივერსიტეტის პრალეოგენეტიკოსმა **იოჰანეს კრაუზემ** გამოაქვეყნა სტატია იმის თაობაზე, რომ გერმანელმა მკვლევარებმა შეძლეს 151-დან სამი მუმიის გენომის სრულად აღდგენა. მათი დნმ კარგადაა შენახული და, მეცნიერის თქმით, „ჩვენ დრომდე მოაღწია, თანაც ყოველივე ეს მოხდა ცხელი ეგვიპტური კლიმატისა, განამარხების ადგილებში მაღალი ტენიანობისა და ბალზამირების დროს გამოყენებული ნივთიერებების ზემოქმედების მიუხედავად".

მეცნიერთა აზრით, **გენომის აღდგენას (თუმცა კი შორეულ პერსპექტივაში) მისი მფლობელის აღდგენა უნდა მოყვეს, რაც კლონირების გზით უნდა განხორციელდეს.** ეს კი „სავსებით უნდა აწყობდეს" ძველ ეგვიპტელებს, რომლებიც იმ იმედით კვდებოდნენ, რომ ოდესმე მკვდრეთით აღდგებოდნენ – მათი ცხედრების მუმიფიცირებასაც ხომ სწორედ ეს რწმენა ჰქონდა საფუძვლად!

ყოველივე ეს, ცხადია, ერთობ მომაჯადოებლად ჟღერს და რაოდენ შიშისმომგვრელადაც უნდა ჟღერდეს, **ეს მიცვალებულები კაცობრიობის სრულიად უცნობი ისტორიის მეტყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გასაღებია!**

სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ თავად ტუტანჰამონის მუმია დიდებულადაა შენახული, ამდენად სავარაუდოა, რომ ფარაონს ხელს არაფერი შეუშლის მიცვალებულთა ქვეყნიდან უკან დაბრუნებაში, როგორც ეს თავის დროზე იყო ნაწინასწარმეტყველები...

**ოთარ ტურაბელიძე**

ტრიუმფი

# ყინულიც გაალღვეთ!



**კურიოზია, აგა რა – ლეგენდარული მფრინავი ტორპედოს კობა წაქაძის სამშობლო, რომელსაც ისეთი განთქმული მთის კურორტები ამშვენებს, როგორიც ბაკურიანი და გუდაურია, აქამდე მხოლოდ სპორტის ზაფხულის სახეობებში მოხვეჭილი ტიტულებით იწონებდა თავს.**

და აი, ნავსი გატყდა – ამიერიდან 20 წლის ფიგურისტის **ანასტასია გუბანოვას** სახით, რომელიც საქართველოს მოქალაქეა 2021 წლიდან, ევროპის ჩემპიონი გვყავს! ვულოცავთ და გილოცავთ!

ეს ისტორიული მოვლენა ფინეთის ქალაქ ესპოოში გამართულ 115-ე კონტინენტურ ფორუმზე მოხდა, სადაც საპატიო კვარცხლბეკზე ასასვლელად ბრძოლაში 29 რჩეული ჩაება, ტრიუმფატორმა კი ყველას აჯობა როგორც მოკლე, ისე თავისუფალ პროგრამაში, ხოლო ოქროს საზოლოო დიდოსტატური მონაგრით – 119,91 ქულითა შესწვდა.

ბუნებრივია, უნიკალური წარმატება ჰაერიდან არ მოსულა, ამიტომ დამსახურებული მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ქართული ფიგურული სრიალის ცოცხალი კლასიკოსი ირაკლი ჯაფარიძე, სახელოვანი ძველი გვარდიის წარმომადგენლები მარინა ცერცვაძე, ლია გაბელაია, მსგავსი უმაღლესი რანგის ტურნირის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ელენე გედევანიშვილი, რომელსაც ძნელია ვეტერანი ვუწოდოთ და ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მაკა გიორგობიანი, რომელიც სპორტის სამინისტროსთან და ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობით ღირსეულად უძღვება საქმეს.

სხვათა შორის, კიდევ ერთი მესამეადგილოსანი მორის ყვითელაშვილი ჯერაც მოქმედი სპორტსმენია და, მართალია, ამჯერად მე-16 ადგილი დაიკავა, მაგრამ სამაგიეროდ გაგვახარა 2017 წლის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის ბრინჯაოს მფლობელმა ნიკა ეგაძემ, რომელიც მე-7 პოზიციაზე დამკვიდრდა.

სიმბოლურია, რომ ამ დღეებში იტალიაში დასრულებულ ახალგაზრდულ ფორუმზე ვერცხლი კონსტანტინე სუპატაშვილმა მოიპოვა, რომელმაც 1997 წელს ვახტანგ მურვანიძის ნაჩვენები შედეგი გაიმეორა.

ტატამზე

# ილიაობა ალმადაში



**სეზონის პირველ გრან პრიზე ქართველმა ძიუდოისტებმა ბოლო დღეს გაისროლეს. და მერე როგორ!**

პორტუგალიის ქალაქ ალმადაში ჩასული „ჯვაროსანთა“ 12-წევრიანი დელეგაციიდან განსაკუთრებით 100 კილოში მოასპარეზე **ილია სულამანიძემ** ივაჟკაცა, რომელმაც ნახევარფინალში, არც მეტი, არც ნაკლები, ჩეხი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლუკაშ კრპალეკი დაჯაბნა.

მანამდე ჩვენმა თანამემამულემ მასპინძელ ბრიტეშს, ავსტრიელ ბოელერსა და უკრაინელ სავიცკის სძლია, ხოლო გადამწყვეტი ორთაბრძოლა იაპონელ არაისთან იპონით წუთსა და 14 წამში მოიგო.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ახლოს იყო **საბა ინანეიშვილიც** (+100), მაგრამ რუმინელ სიმონესკუსთან, სლოვენიელ დრაგიჩთან, მონღოლ ოდხუუსთან და ბრაზილიელ სილვასთან მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ მან ფინალი ვაზარით წააგო სამხრეთკორეელ კიმთან.

სამწუხაროდ, წარუმატებლად დაუბრუნდა ტატამს **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (90), რომელიც სტარტზევე დამარცხდა ეგვიპტელ ელრამლისთან.

სერია – ა

# პირადი ნორმა

**იტალიის სერია – ა-ს მეორე წრის სტარტმა კიდევ უფრო გამოკვეთა ნაპოლის საჩემპიონო ამბიციების საფუძვლიანობა, რადგან 20 ტურის შემდეგ მას უახლოეს მდევართან უკვე 13(!)-ქულიანი უპირატესობა აქვს.**

ტრადიციისამებრ, რომასთან საშინაო მატჩში მოპოვებულ გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა **ხვიჩა კვარაცხელიამ,** რომელმაც საგოლე გადაცემით გაახსნევინა ანგარიში ოსიმენს, ხოლო მძიმე ბრძოლა მასპინძლებს 86-ე წუთზე სიმეონემ მოაგებინა – 2:1.

ლუჩანო სპალეტის გუნდის კონკურენტთაგან მხოლოდ ინტერმა ჩაიწერა აქტივში 3 ქულა, თუმცა მიზნის მიღწევა აუტსაიდერ კრემონეზესთან, ვის რიგებშიც ტრავმის გამო ამჯერად ლუკა ლოჩოშვილს არ უთამაშია, მასაც გაუჭირდა – 2:1 (ეკერეკე; მარტინესი – 2). მილანი – სასუოლო 2:5, ლაციო – ფიორენტინა 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** ნაპოლი – 53, ინტერი – 40, ატალანტა, ლაციო, მილანი – 38-38, რომა – 37 ქულა.



მორიგ შეხვედრას ნაპოლი 5 თებერვალს სტუმრად სპეციასთან გამართავს, რომელიც ერთ-ერთი მაჩანჩალაა და ადვილი შესაძლებელია სხვაობა კიდევ უფრო გაზარდოს, რადგან იმავე დღეს მილანური დერბია და არაა გამორიცხული, ორივე გრანდი შეფერხდეს.

რაც შეეხება ფინანსურ სკანდალს, ჯერჯერობით სიჩუმეა.

კორტზე



# დასამტკიცებელი აღარაფერია

**ამ გამარჯვებით ნოვაკ ჯოკოვიჩმა დიდი ხნის ოცნება აისრულა – 22-ე გრანდ სლემის მოპოვებით, როგორც იქნა, რაფაელ ნადალს დაეწია, ვისაც პირად შეხვედრებში ჯერჯერობით მინიმალური უპირატესობით ამარცხებს – 30:29.**

საუბარია ავსტრალიის ღია პირველობის კარიერაში მეათედ(!) მოგებაზე თანაც ამ მიღწევას ხიბლს ის ფაქტი მატებს, რომ სერბ ლეგენდას ერთი სატიტულო ბრძოლაც კი არ დაუთმია მწვანე კონტინენტზე და წლეულს მეტოქეებთან ერთადერთი პარტია წააგო. გასათვალისწინებელია ტურნირის სტარტზე გამიზეზებული ბარძაყის კუნთის ძველი ტრავმის ფაქტორიც, თუმცა შემდგომში აღნიშნულ პრობლემას მომავალი ტრიუმფატორისთვის თავი აღარ შეუხსენებია, მათ შორის ბოლო აკორდის დროს ბერძენ სტეფანოს ციციპასთან – 6:3, 7:6, 7:6.

ხელბურთი

# ზედიზედ მესამედ

**პოლონეთსა და შვედეთში გამართული ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული დანიის ნაკრები გახდა. ჩრდილოელებმა ფინალში საფრანგეთი 34:29 დაამარცხეს.**

გამარჯვებულ დანიის ნაკრებს ლაუგემ ულიდერა, რომელმაც 10 ბურთის გატანა მოახერხა. 9 გოლი იყო პიტლიკის ანგარიშზე, 6-ჯერ კი თავი გიდსელმა გამოიჩინა.

საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში საუკეთესო რემილი იყო, რომელმაც 6 ბურთი გაიტანა, ხოლო 5 გოლი დიკა მემის ანგარიშზეა. დანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ისტორიაში მესამედ მოიპოვა და აღსანიშნავია, რომ სამივე ოქროს მედალი ბოლო 3 მსოფლიოს ჩემპიონატზეა მოხვეჭილი.

დანიას წარმატების კარგი შანსი 2025 წელსაც ექნება, რადგან ხორვატეთთან და ნორვეგიასთან ერთად ერთ-ერთი მასპინძელი სწორედ ეს ქვეყანა იქნება. ბრინჯაო ესპანეთს დარჩა, რომელმაც შვედეთი 39:36 დაამარცხა.





# ძმები კაკულიები: ნიკო კვარაცხელიას მკვლელობასთან შეხება არ გვქონია!

**30 იანვრის სასამართლო პროცესზე თბილისში ჯგუფურად მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვის, ტარების, ასევე, საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე, ბრალდებული ძმების გუგა და დავით კაკულიების სასამართლო სხდომა გაიმართა.**

ძმებმა სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ 20 წლის ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმესთან საერთო არაფერი აქვთ.

„მივმართავ კვარაცხელიების ოჯახს, არანაირი შეხება მაგ საქმესთან ჩვენ არ გვქონია, ეს არის პროვოკაცია გადაეცით იმათ, ყველას“, – განაცხადა გურამ (გუგა) კაკულიამ.

2022 წლის 30 მაისს თბილისში მოკლული 22 წლის ნიკო კვარაცხელიას დედა ძმებ კაკულიებზე სოციალურ ქსელში დაწერა: **დააკავეს ჩვენი შვილის მკვლელობის საქმეში დამკვეთებად დასახელებული ძმები**...

ოფიციალური ბრალდებით კი „შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით არაყიშვილის ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის ფაქტი გახსნილია. საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 27 მაისს, არაყიშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთაზე, ბრალდებულებმა ჯგუფურად, განზრახ მოკვლის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გასროლის შედეგად ერთ პირს მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს. ბრალდებულების მიერ ჩადენილმა ქმედებამ ასევე საფრთხე შეუქმნა ადგილზე მყოფ პირებს, მათ შორის ერთ-ერთმა ფეხის არეში დაზიანება მიიღო.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულებმა უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, მართლსაწინააღმდეგოდ, ჯგუფურად შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდნენ მათ მიერ ნაქირავებ ბინაში.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული 30 მაისს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ჯგუფურად განხორციელებული განზრახ მკვლელობის მცდელობა, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას),



236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, ჯგუფურად შენახვა და ტარება) და 344-ე მუხლის პირველი ნაწილით (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 13- დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.“

## სანთელი



# ნაძალადეველთა სიძლიერე და სახელი...

### ჟორა სირბილაძის მოსაგონარი

ვისაც კი ერთხელ მაინც ჰქონია შეხება თბილისთან და კერძოდ ნაძალადევთან, აუცილებლად გაიგებდა ერთი ალალმართალი, შეუპოვარი, ვაჟკაცი და სამეგობროში დაფასებული კაცის სახელს – ეს გახლდათ ჟორა (გიორგი) სირბილაძე. მართლაც გამოირჩეოდა თავისი არამარტო ფიზიკური მონაცემებით, არამედ სამართლიანობითა და ოჯახიშვილობით, სამშობლოს სიყვარულითა და პირდაპირობით. გასაკვირი არც იყო, რომ ეროვნული მოძრაობის დაწყებისთანავე ჩადგა იმ ხალხთა გვერდით, რომელთათვისაც სამშობლოს მცნება მარტო სადღეგრძელოებით კი არა, უზომო სიყვარულისა და თავგანწირვის ტოლფასი იყო. წლების განმავლობაში ნაძალადეველებმა თავიანთ თავკაცადაც აირჩიეს და რაიონის ბედიც ანდეს. დასანანია, რომ ამ კოლორიტ ადამიანს ბედისწერამ დიდხანს არ დააცალა საყვარელი ოჯახის, უბნისა და სამშობლოს, სამეგობროსა და ახლობლების სიყვარულით ტკბობა, იგი ახალგაზრდა ასაკში განეშორა საწუთროს.

დღეს, 1 თებერვალს, ამ დიდებული ადამიანის დაბადების დღეა, რომელიც თითქმის 20 წელია ზეციური საქართველოს მკვიდრია, მაგრამ დღესაც იმ დიდი სიყვარულით იხსენებენ, რაც თავისი კაცობით დატოვა. იხსენებს არამარტო შესანიშნავი ოჯახი, არამედ მთელი ნაძალადევი.

დღეს, ჟორა სირბილაძე 74 წლის გახდებოდა.

მეგობრები

# საყვარელიძეებო! დამუნჯება სჯობს ამის მოსმენას!..



### ბებია, რომლის მკვლელობაც შვილიშვილმა ქილერს შეუკვეთა, თჰსუ-ს რექტორი და მოსკოვის ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელია თბილისში

**26 წლის ლევან საყვარელიძე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელია, ბებიის შეკვეთილი მკვლელობის მომზადებისთვის დააკავეს.**

გამოძიების ინფორმაციით, შვილიშვილი ქილერს (დაქირავებული მკვლელი) ბებიის მკვლელობის სისრულეში მოყვანის სანაცვლოდ 150 000 აშშ დოლარის გადახდას შეჰპირდა და წინასწარ გარკვეული თანხის ნაწილიც გადაიხადა. ხოლო დარჩენილ თანხას მკვლელობის შემდეგ გადაუხდიდა. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, 26 წლის ბრალდებულს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა.

როგორც „აიპრესმა“ გაარკვია, ბებია, რომლის მკვლელობასაც შვილიშვილი გეგმავდა 2010 წლიდან დღემდე შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ვალენტინა საყვარელიძეა. რომელიც აღნიშნულ უნივერსიტეტში 66%-იან წილს ფლობს. ხოლო დანარჩენი 34%-ის მფლობელი ვალერიან მუხიგულაშვილია.

„აიპრესი“ დაინტერესდა, იყო თუ არა ლევან საყვარელიძე ბებიის რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული, აღიარებს თუ არა პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალს და ვისი მიმართვის საფუძველზე მოხდა მისი დაკავება. ბრალდებულის ადვოკატმა არჩილ ბერიანიძემ გვითხრა: **„ზოგადად ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხს ვერ გაგცემთ - პოზიცია არის დუმილის უფლება.“**

ასევე, 2021 წლიდან ვალენტინა საყვარელიძე ხელმძღვანელობს მოსკოვის ეკონომიკის, სტატისტიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მესი) წარმომადგენლობას საქართველოში. რომელიც თბილისში მდებარეობს. რა მოტივი ამოძრავებდა 26 წლის ლევან საყვარელიძეს და რატომ იმეტებდა სასიკვდილოდ 72 წლის ბებიას, ჯერჯერობით უცნობია და სავარაუდოდ სასამართლოში გაირკვევა.

**ცნობისთვის, პროკურატურის ინფორმაციით, „გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ანგარების მოტივით განიზრახა საკუთარი ბებიის – 1951 წელს დაბადებული ვ.ს.-ის შეკვეთით მკვლელობა. მას ამ მიზნით დაქირავებული მკვლელისთვის უნდა გადაეხადა 150 000 აშშ დოლარი. ლ.ს.-მ პირს, რომელსაც უნდა შეესრულებინა ბებიის მკვლელობა, დაუსახელა მსხვერპლის სახელი ასაკი, საცხოვრებელი მისამართი და ინტერნეტაპლიკაციის მეშვეობით გაუგზავნა ბებიის ფოტოსურათი. ბრალდებულმა დანაშაულის მომზადებისთვის წინასწარ გადასცა გარკვეული თანხა, ხოლო შეკვეთის შესრულების შემდგომ დაჰპირდა დარჩენილი თანხის გადახდას.**

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების, ასევე, ფარული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ლ.ს. დააკავა. ოჯახის წევრის მიმართ, ანგარებით, შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-109-ე მუხლის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით.“


# განცხადება

სს „ელიტ ელექტრონიქსი“-ს რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული თანხის მისაღებად კრედიტორებმა:

1. შპს აჭარის ელექტროკავშირი, ს/კ: 245446307;
2. შპს ვანექსი, ს/კ: 211369302;
3. სს სურსათმრეწვბაკალეა, ს/კ 245383801;

უნდა მიმართონ ნოტარიუს მაია ბიგვავას შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №26.

სს „ელიტ ელექტრონიქსი“-ს მიერ მათთვის გადასახდელი თანხა განთავსებულია ზემოაღნიშნული ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

სს „ელიტ ელექტრონიქსი“




# ქართული კომპანიები საერთაშორისო გამოფენაზე

**ბერლინში, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაში, „მწვანე კვირეული 2023“ 16-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა,** – ამის შესახებ ინფორმაციას სოფლის განვითარების სააგენტო ავრცელებს.

გამოფენა 29 იანვარს დასრულდა და დამთვალიერებელთა რაოდენობამ 400 000-ს გადააჭარბა. საქართველოს სტენდი, სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ საქართველოს სტენდთან სხვადასხვა ქვეყნის, მაღალი რანგის სტუმრებს უმასპინძლა. მეწარმეებმა, ღვინო და ალკოჰოლური სასმელები, ნატურალური წვენები, თაფლი და სხვა ქართული პროდუქცია დამთვალიერებლებს გააცნეს.

# ნაცნობი და უცნობი ფარაჯანოვი...



საქართველოს კინოაკადემიაში კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

**„ნაცნობი და უცნობი ფარაჯანოვი“** – ასე ჰქვია წიგნს, რომელშიც ქართველი და უცხოელი ცნობილი ხელოვანები ფარაჯანოვის შემოქმედებას იხსენებენ.

საღამოზე ასევე გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება „რობიკო სტურუა ფარაჯანოვზე“.

# ტროპიკული ქარიშხალი მადაგასკარზე

**მადაგასკარზე ტროპიკული ქარიშხლის შედეგად 30 ადამიანი დაიღუპა, 20 კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. კუნძულოვან ქვეყანაში ათიათასობით ადამიანი დაზარალდა.**

მადაგასკარის რისკებისა და კატასტროფების მართვის ეროვნული ოფისის ინფორმაციით, სტიქიის შედეგად საერთო ჯამში 89 000-მდე ადამიანი დაზარალდა. ამასთან, შტორმმა დააზიანა ინფრასტრუქტურა, სახლები. განადგურებულია ხიდებიც. თითქმის 33,000 ადამიანს მოუწია სახლების დატოვება კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რეგიონში. ადგილობრივები აცხადებენ, რომ ძირითადი საკვები პროდუქტების ფასები რეკორდულად გაიზარდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ აუცილებელი საკვების მარაგი ნაწილდება გაჭირვებულთა დასახმარებლად.

# მოწმედ თუთიყუში დაკითხეს



**ინდოეთში პოლიციელმა კონტრაბანდის საქმეზე ეჭვმიტანილის ადგილმდებარეობის დასადგენად მისი მოლაპარაკე თუთიყუში გამოკითხა.**

შემთხვევა ქალაქ გაიაში მოხდა, სადაც სამართალდამცველები ვინმე ამრიტ მალაჰის ეძებდნენ. პოლიციელები ეჭვმიტანილის სახლში მის დასაპატიმრებლად მივიდნენ, მაგრამ მალაჰმა და მისმა ნათესავებმა გაქცევა მოახერხეს, თუმცა გალიაში ჩაკეტილი თუთიყუში დატოვეს.

**უმცროსმა ინსპექტორმა კანჰაია კუმარმა ჩიტის გამოკითხვა გადაწყვიტა. „თუთიყუშო, სადაა ამრიტ მალაჰი? სად არის შენი პატრონი? სახლში მარტო დაგტოვეს?“** – ეკითხებოდა ის თუთიყუშს. სამწუხაროდ, თუთიყუშმა პატრონი არ გათქვა. მხოლოდ რამდენჯერმე გაიმეორა სიტყვა „თასი“.

# საბავშვო უნივერსიტეტის პროექტი „თსუ დესპანი 2023“

**სტუდენტებში მოხალისეობრივი პრაქტიკის დანერგვასა და არაფორმალური განათლების განვითარების მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტი „თსუ დესპანი 2023“ დაიწყო.**

თსუ-ს ინფორმაციით, პროექტის მონაწილე სტუდენტებს თსუ რექტორი ჯაბა სამუშია შეხვდა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

**„თქვენ ძალიან მნიშვნელოვანი მისია გაქვთ, რადგან წარმოადგენთ აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი უძველესი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტს, რომელმაც საქართველოში შექმნა როგორც უმაღლესი სკოლა, ასევე საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების განვითარებას. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, იმიტომ რომ ეს უნივერსიტეტი უპირველესად არის სტუდენტების“,** – განაცხადა რექტორმა სტუდენტებთან შეხვედრისას.

„თსუ დესპანი 2023“ საბავშვო უნივერსიტეტის პროექტია, რომლის მიზანია ნებისმიერი საფეხურის სტუდენტმა მშობლიური სკოლის მოსწავლეებს გააცნოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტური ცხოვრება. პროექტი 11 წელია ხორციელდება და მასში მონაწილეობა უკვე 5000-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო. წელს კი, პროექტში მონაწილეობის სურვილი 400-მდე სტუდენტმა გამოთქვა. პროექტის მონაწილე სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, სურვილის შემთხვევაში, ჩაერთონ ისეთ მნიშვნელოვან ტრენინგებში როგორებიცაა: კარიერის მართვის კურსი; გუნდური მუშაობა და პრობლემის გადაჭრა; პროექტის წერა.



# ლას-ვეგასის ტყუპისცალი ლონდონში

**ქალაქ ლონდონის მცხოვრებლებს სახელმწიფო აფრთხილებს, რომ მალე ქალაქის ცენტრში სფეროს ფორმის მანათობელი საკონცერტო დარბაზი აშენდება, ზუსტად ისეთი, როგორიც ლას-ვეგასში მდებარეობს და ხშირად „მზეს დედამიწაზე“ უწოდებენ.**

ლონდონის დაგეგმარების კომიტეტმა თანხმობა გასცა, რომ ბიგბენის ზომის შენობა, რომელსაც 36 მილიონი ლედ განათება ექნება, ქალაქის ცენტრში აშენდეს. ამავე შენობის ლას-ვეგასის ვერსია, რომლის მშენებლობაც 2023 წელს დასრულდება, გასულ კვირას პირველად შეამოწმეს. საკონცერტო დარბაზის ნათებამ თითქმის 2 მილს მიაღწია. გამომდინარე იქიდან, რომ ლას-ვეგასის მცხოვრებლები უკვე შეჩვეული არიან ღამე ქალაქის შუქების ნათებას, შესაძლოა სხვა ადგილზე აშენებულმა საკონცერტო დარბაზმა გარშემო მცხოვრებლების დისკომფორტი გამოიწვიოს. ამის გამო, მიუხედავად დაგეგმარების კომიტეტის თანხმობისა, ლონდონის ასობით მცხოვრებლები აპროტესტებენ საკონცერტო დარბაზის მშენებლობას და ამბობენ, რომ მისი სინათლე და ხმა ძალიან შემაწუხებელი იქნება. ყოფილი კულტურის მინისტრის მოადგილის მეთ ჰენკოკის თქმით, სფეროს ფორმის დარბაზი ლონდონის ეკონომიკას 2.5 მილიარდ გირვანქამდე გაზრდის.



# მსოფლიო შემდეგი პანდემიისთვის მოუმზადებელია

**წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომავალი კრიზისები შესაძლოა, სავარაუდო კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ კატასტროფებთან იყოს დაკავშირებული. მიუხედავად COVID 19-ის პანდემიის სამი სასტიკი წლისა, ქვეყნები მაინც მოუმზადებელი არიან.**

საერთაშორისო ორგანიზაციამ ქვეყნებს მოუწოდა, მზადყოფნის გეგმები წლის ბოლომდე განაახლონ. მსოფლიოს უდიდესმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ნდობის, თანასწორობის და ადგილობრივი მოქმედების ქსელების ჩამოყალიბება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მომზადებისთვის. ნათქვამია, რომ ქვეყნები უნდა იყვნენ მომზადებული მრავალჯერადი საფრთხისთვის. ასევე ნათქვამია, რომ ქვეყნებმა უნდა გადახედონ თავიანთ კანონმდებლობას, რათა დარწმუნდნენ, რომ იგი შეესაბამება პანდემიისადმი მზადყოფნის გეგმებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 3 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6410; ევრო - 2.8813;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2788;
100 რუბლი - 3.7888; თურქული ლირა - 0.1404;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5566;
1000 სომხური დრამი - 6.6776

**ამინდი 1 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -4, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -8, | დღე | +9 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +11 |
| თბილისი: | ღამე | -1, | დღე | +11 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge